ახალი უნივერსიტეტი

26 იანვარი, ოთხშაბათი, 2011 წ. №1 (2112)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

აისახება თუ არა ქართული ღვინის სამკურნალო თვისებები ეტიკეტზე

მეცნიერებისადმი თანამედროვე მიდგომა, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ინტელექტუალური პროდუქტის კომერციალიზაციასაც ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანად შეიცვალა მომთხოვნელობა სამეცნიერო პროექტების მიმართ. ამდენად, ფუნდამენტურ კვლევებთან ერთად, უპირატესობა მიენიჭა იმ პროექტებს, რომელთაც ბიზნეს-ღირებულება გააჩნიათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომერციული სამეცნიერო პროექტებით რამდენიმე წლის წინ დაინტერესდნენ და ბიზნესსექტორის მოსაზიდად გარკვეული ღონისძიებებიც გაატარეს. იმ მეცნიერების მიმართ კი, რომლებიც კომერციული ღირებულების მქონე კვლევებზე მუშაობენ, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ იწყებს მასალების გამოქვეყნებას იმ სამეცნიერო პროექტებზე, რომლებიც ბიზნესისთვის საინტერესო და მიმზიდველია. ამ პროექტების კომერციალიზაციის პერსპექტივების გარკვევა დაინტერესებული საწარმოებისა და კომპანიების გააქტიურებით და, ამ პროცესის თანახმად, რეალურ ფინანსურ მოგებაზე ორიენტაცია — ჩვენი დაკვირვების საგანი გახდება.

ამჯერად შევჩერდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტზე, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე, ქართული ღვინის სასარგებლო თვისებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მე-3 გვერდზე

16 იანვარს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, თსუ-ის საპატიო პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მზექალა შანიძეს 85 წლის იუბილე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მიულოცა

ქალბატონო მზექალა!

გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, 85 წლის იუბილეს!

თქვენი მოღვაწეობა ფასდაუდებელია ქართული მეცნიერებისთვის. თქვენ ღირსეულად განაგრძეთ ჩვენი წინაპრების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლებისა და ქართული ფილოლოგიის კორიფეების ტრადიციები, არა ერთი მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური სამეცნიერო ნაშრომი შექმენით მომავალი თაობისთვის, ახალგაზრდებს გააცანით და შეაყვარეთ ქართული სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა, ქართული ხელნაწერი. თქვენი საქმიანობა მაგალითია ახალგაზრდა მეცნიერთათვის! თქვენი თავდაუზოგავი შრომა, თქვენი საქმისადმი ერთგულება და გულწრფელი სიყვარული ყოველთვის მისაბაძი იქნება ჩვენთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შემოქმედებით წინსვლასა და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად!

ალექსანდრე კვიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

15 იანვარს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძეს, დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად, თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, უნივერსიტეტის სახელით, მილოცვის წერილი გაუგზავნა

ბატონო ჯუმბერ!

მხურვალედ მოგესალმებით და გულითადად გილოცავთ სახელოვან თარიღს — დაბადების 90 და მეცნიერული, საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 70 წლისთავს.

თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი ის ღირსეული პიროვნება, ჩვენი წინამორბედი დიდი მეცნიერების ის უშუალო მემკვიდრე, რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება, განუზომელი ენერგია, შემოქმედებითი ნიჭი და უნარი მოახმარა ქართული მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეს, აგრეთვე, ის სულიერი მოძღვარი, რომელმაც აღზარდა და დააკვალიანა ფილოლოგთა არაერთი თაობა.

თქვენი ღრმად გააზრებული ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები, წიგნები ეძღვნება ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის პრობლემებს, ერის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება თესავს და ხანდაზმულობის ჟამს ამ სიყვარულს იმკის. ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით. თქვენ ის პიროვნება ხართ, თითოეული სტუდენტის კეთილდღეობისათვის რომ იღვწის და ეს საქმიანობა კმაყოფილებას ანიჭებს.

ნება მიბოძეთ, რექტორატის სახელით, პირადად ჩემი სახელით კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღე და გისურვოთ ჯანმრთელი სიცოცხლე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

უნივერსიტეტის წიგნსაცავის იდეური „მცველი“ — მე-2 გვერდზე

სპეტაკი კაცი — მეცნიერული სინდისის წინაშე — მე-4 გვერდზე

ჟარგონი ენის სიწმინდეს საფრთხეს უქმნის — მე-5 გვერდზე

მეცნიერება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ — მე-5 გვერდზე

სიყვარულით დამსხვრეული მითები — მე-6 გვერდზე

ჯუმბერ ჭუმბურიძის მყუდროების კარავში — მე-7 გვერდზე

წლის მოაზროვნე უნივერსიტეტის წიაღში — მე-8 გვერდზე

საკმარისი დაფინანსებით მიღწეული შთამბეჭდავი შედეგი — მე-9 გვერდზე

ეროვნული იდენტობა — გლობალიზაციის მსხვერპლი? — მე-10 გვერდზე

უნივერსიტეტის წიგნსაცავის იდეური „მცველი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ისტორიის დოქტორი ზურაბ გაიპარაშვილი, რომელიც ოთხმოციანელთა თაობის ღირსეული წარმომადგენელია. მისი სტუდენტობა და უნივერსიტეტში მოღვაწეობის პირველი წლები იმ პერიოდს ემთხვევა, როცა საბჭოთა სისტემისა და მისი დამპყრობლური რეჟიმის მხილება ქართული საზოგადოების და, უპირველესად, ინტელიგენციის მამულიშვილურ ვალად იქცა. საქართველოში აბობოქრებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქმედითი ბირთვი — საუნივერსიტეტო საზოგადოება, პირველ რიგში კი უნივერსიტეტის სტუდენტობა იდეურად მართავდა პროცესებს და სწორედ ამ მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე გახლდათ ზურაბ გაიპარაშვილიც თავისი მრწამსითა და შემოქმედებითი წიაღსვლებით. მის სახელთანაა დაკავშირებული თსუ-ის მუზეუმის დაარსება და განვითარება, რასაც წლები შეალია. იგი 2005-2007 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსად და შემდეგ კი მუზეუმის დირექტორის მოადგილედ, რომლის ხელშიც არასდროს „გახუნებულა“ მუზეუმში დაცული „საგანძური“. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული საზოგადოებისთვის მეტად ღირებული — თსუ-ის დამაარსებელთა და მეცნიერთა ბიოგრაფიული მონაცემების, უნივერსიტეტის წარსული ცხოვრების შესახებ მოპოვებული საინტერესო ინფორმაციების, ფაქტებისა თუ მოვლენების თავმოყრის თვალსაზრისით, რაც მისი ავტორობითა თუ რედაქტორობით გამოცემულ წიგნებშია („უნივერიტეტი-universitas“, „საუკუნის ნიშანსვეტი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობა“, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926 წწ“, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი“, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონი“, „ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს საგანძურის საზღვარგარეთ გატანის საქმეში“ და სხვ.) მოცემული. მის ჭეშმარიტ უნივერიტეტელობას ხშირად უსვამს ხაზს მისი პრინციპულობა უნივერსიტეტის ავტონომიურობის უფლების გასამყარებლად და თსუ-ის შენობის იერ-სახისა და მისი იმიჯის შესანარჩუნებლად, რაც ზურაბ გაიპარაშვილის მიერ გამოთქმულ არაერთ მოსაზრებასა და წინადადებაში გამოსჭვივის. თუნდაც, აქ ჩამოთვლილ მონაცემთა გამოა იგი ღირებული კადრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რაც თსუ-ის ახალმა ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, სათანადოდ შეაფასა და უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის იდეურ „მცველად“ და სტრატეგად დანიშნა.

თამარ დადიანი

— თქვენ გარკვეული წლების განმავლობაში თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელად მუშაობდით, ახლა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი ხართ... ამ ცვლილებას როგორ შეხვდით?

— თუ პარალელს გავავლებთ, ამ ორ სტრუქტურულ ერთეულს შორის მსგავსება ბევრია. პირველ რიგში, ორივე საუნივერსიტეტო სივრცეშია, ორივე კულტურული სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიასთან, სასწავლო პროცესთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტის მუზეუმის დაარსების პირველივე ნაბიჯების თვითმხილველი და მონაწილე ვარ. გარკვეული წვლილი მიმიძღვის მის შექმნაში, დაფუძნებასა და განვითარებაში. უნივერსიტეტის მუზეუმის შექმნაზე თავიდან რამდენიმე თანამშრომელი ვმუშაობდით. განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ ისეთი კეთილშობილი ქალბატონის გვერდით მიწევდა ყოფნა, როგორიც იყო დალი გერსამია — ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი. ასეთ ოჯახიშვილთან ყოველდღიური ურთიერთობა უდიდესი ბედნიერება და სკოლაა. მან ძალიან ბევრი რამ მასწავლა და დიდი კვალიც დატოვა ჩემს ცხოვრებაში. მუზეუმი ჩვენი ხელით იქმნებოდა, მის ფონდში პირველი ექსპონატი აკაკი შანიძის ხელნაწერი გახლდათ. რეალურად, ჩემს ხელში გაიარა ყველა იმ დოკუმენტმა, რომელიც მუზეუმის ფონდებშია დაცული. ჩემი ოცნება, რომელიც უნივერსიტეტის გუმბათის სივრცის გათავისუფლებას უკავშირდება, იმედია, განხორციელდება. გუმბათის გადატიხრული სივრცის წარსულიც მოგვიანებით აღმოვაჩინეთ. სწორედ ამ დროიდან იწყება ბრძოლა უნივერსიტეტის ავტონომიისთვის. ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, უნივერსიტეტის ისტორიასა და ავტონომიასთან დაკავშირებით ისეთი მასალა შემეგროვებინა, რომელიც საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი. ეროვნული არქივის საუნივერსიტეტო ფონდში მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ გუმბათის ქვეშ, თავის დროზე, სამლოცველო ყოფილა, შემდეგ გიმნაზია, და 1924 წელს კი ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით მუზეუმი დაფუძნებულა, რომელიც 30-იან წლებამდე არსებობდა. ამ წლებში კი, მოგეხსენებათ, საქართველოში რა პოლიტიკური ვითარებაც სუფევდა — უნივერსიტეტი დახურეს, დაშალეს ინსტიტუტებად და ეს უმდიდრესი სამუზეუმო ქონება სახელმწიფო მუზეუმს გადასცეს, მათ შორის, ხელნაწერებიც. აქედან ჩაეყარა საფუძველი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს. ამ გუმბათის ქვეშ კი კომკავშირისა და პარტიული კომიტეტების წევრების კაბინეტები გაკეთდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დადგებოდა დრო და უნივერსიტეტს თავისი არქიტექტურული სახე დაუბრუნდებოდა, გუმბათის სივრცე გათავისუფლდებოდა და იქ მუზეუმი გაკეთდებოდა...

ახლა კი, რაც შეხება თსუ-ის ბიბლიოთეკას... საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას უდიდესი და უმდიდრესი ტრადიცია აქვს. იმის გახსენებით, თუ ვინ იდგა ბიბლიოთეკის შექმნის სათავეებთან, შეიძლება ჟრუანტელმა დაგიაროთ, საკმარისია ისეთი სახელების ხსენება, როგორიც არის გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე... ამან შეიძლება „შეგაშინოს“ კიდეც, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს საამაყოა, რადგან ამ დიდი ადამიანების შრომითა და რუდუნებით არის შექმნილი ეს უმდიდრესი წიგნსაცავი, რომელსაც დიდი მოფრთხილება და მზრუნველობა სჭირდება. დროთა ვითარების, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, წიგნსაცავი უდავოდ გაღარიბებული იქნება, მაგრამ რაც დარჩა, ესეც დიდი სიმდიდრეა, რომელსაც მოვლა სჭირდება. ჯერჯერობით, არ შემიძლია გითხრათ — აქ რა დამხვდა, მაგრამ ჩემი პირველი ნაბიჯები მიმართული იქნება იმისკენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ არა მარტო საუნივერსიტეტო, არამედ მთლიანად ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რისი პატრონია ბიბლიოთეკა. ამიტომაც მივმართე თსუ-ის კანცლერს თხოვნით — შეიქმნას კომისია და ჩატარდეს ბიბლიოთეკის სრული ინვენტარიზაცია. მანამდე ყველა წიგნსაცავი დალუქულია. ინვენტარიზაციის შედეგად გვეცოდინება ფონდში დაცული წიგნების რაოდენობა. შემდეგ მათი აღრიცხვა მოხდება საბიბლიოთეკო ელექტრონულ პროგრამაში, რომელსაც სულ მოკლე ხანში ავამოქმედებთ. მოხდება წიგნების ელექტრონული კატალოგიზაცია. აღნიშნულ მონაცემს შევადარებთ ძველ საინვენტარო მონაცემებთან, რის შედეგადაც რეალური სურათი დაიხატება.

— ბიბლიოთეკას ნორმალური ფუნქციონირებისათვის და დაცულობის გარანტიის მხრივაც გამართული ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ამ მიმართულებით თუ აპირებთ მუშაობას?

— თანამედროვე მოთხოვნებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ვერანაირად აკმაყოფილებს, ამიტომ ამ მიმართულებითაც გვაქვს გარკვეული გეგმები, მაგრამ ეს იმდენად სცილდება შიდა საბიბლიოთეკო საქმეს, რომ მარტო ჩვენი სურვილი და მონდომება ვერაფერს იზამს — ეს საერთო-საუნივერსიტეტო საქმეა. ბედნიერი ვარ, რომ მიწევს მუშაობა თსუ-ის იმ ხელმძღვანელობასთან, რომელიც დაინტერესებულია ბიბლიოთეკის განახლება-განვითარებით. რექტორისა და კანცლერის სამოქმედო პროგრამებში კარგად ჩანს ბიბლიოთეკისადმი განსაკუთრებული ყურადღება. მათ, შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური მიდგომები აქვთ ბიბლიოთეკის განვითარებასთან დაკავშირებით, რაზეც თავადაც ისაუბრებენ. დღეს ბიბლიოთეკის დაცვა გაძლიერებულია, სიგნალიზაცია დაყენებულია. იმედის მომცემია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურიც, რომელსაც კარგი ხელმძღვანელი ჰყავს ბატონი გიორგი გორაშვილის სახით და, დარწმუნებული ვარ, რაც აქ მოხდა, აღარ განმეორდება.

— როდის შეგვეძლება წიგნებით სარგებლობა?

— წიგნების აღწერა ეტაპობრივად მოხდება... ჩვენ სტუდენტის აბონემენტს არ დავლუქავთ, ანუ სასწავლო პროცესისთვის საჭირო წიგნებს სტუდენტები დაუბრკოლებლად მიიღებენ. ბიბლიოთეკის თანამშრომლები, თავისთავად, უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ. მათ ცუდ ყოფით პირობებში უხდებათ მუშაობა, მაგრამ უძლებენ ყველაფერს და სასოებით ინახავენ წიგნებს. მათ ანალიტიკური კვლევაც კი აქვთ გაკეთებული იმის შესახებ, თუ რა სახის ლიტერატურაა უფრო მოთხოვნადი. პარალელურად გაგრძელდება მუშაობა საძიებლის ელექტრონული ვერსიის მიმართულებითაც. ინტერნეტის საშუალებით შეიძლება გაიგოთ, რა წიგნები ინახება ჩვენს საცავებში.

— სულ ახლახან ტელევიზიით გახმაურდა იმ რარიტეტული წიგნების დაბრუნების შესახებ, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ იქნა გატანილი. დაუბრუნდება თუ არა ეს წიგნები უნივერსიტეტს?

— ეს წიგნები უნივერსიტეტის საცავიდან რამდენიმე წლის წინ დაიკარგა. ამ ისტორიის შესახებ დეტალურად ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ პერიოდში ბიბლიოთეკაში არ ვმუშაობდი. ის ფაქტი, რაც ქართული საზოგადოებისთვის არის ცნობილი, არის შემდეგი: 2008 წლის მარტში უკრაინის საზღვარზე დაუკავებიათ მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოდან უკანონო გზით შეჰქონდათ წიგნები. ეს იყო, ძირითადად, რუსული წიგნები. უკრაინელ სამართალდამცველებთან მიმოწერის საფუძველზე ჩვენი თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს წიგნები ემთხვევა თსუ-ის ინვენტარში გატარებულ წიგნებს, რომლებიც საცავში, რეალურად, აღარ არის. ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ეს უნივერსიტეტიდან დაკარგული წიგნებია, მაგრამ სანამ გამოძიება მიმდინარეობს, ისინი დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩვენ მხოლოდ ეს ინფორმაცია გვაქვს. ამ ინფორმაციის საფუძველზე დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოვხატეთ, რადგან ეს წიგნები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშებია და შეიძლება თითო ეგზემპლარიც კი იყოს... როგორც ტელევიზიით მოვისმინე, ჩემი უკრაინელი კოლეგების ნათქვამი, სამი დასახელების წიგნი, უბრალოდ, უკრაინის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც კი არ ინახება. აქედან გამომდინარე, განსაზღვრეთ, რამდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეს წიგნები ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისთვის. დამთავრდება გამოძიება და წიგნები კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება...

როგორ ახორციელებს თსუ ელექტრონულ შესყიდვებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესყიდვებს უკვე ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ახორციელებს. შესყიდვების ახალი წესი თსუ-ში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებისა და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორცილების შესახებ დროებითი წესის“ დამტკიცების საფუძველზე ამოქმედდა. წინა წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესყიდვებს, უპირატესად, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე აწარმოებდა, ახალი წესის თანახმად კი თითქმის ყველა სახის შესყიდვა ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდება. ტენდერები ცხადდება სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელშიც შემსყიდველმა სისტემაში სატენდერო დოკუმენტაცია უნდა ატვირთოს და დაელოდოს ამავე სისტემაში დარეგისტრირებულ მიმწოდებელთა წინადადებებს. ნებისმიერი პირისათვის სისტემაში შესვლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის მეშვეობით არის შესაძლებელი – www.procurement.ge. თსუ, როგორც ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი დაწესებულება, ამ პროცესში უკვე აქტიურად არის ჩართული.

ელექტრონული შესყიდვების წესის მიხედვით, გაიზარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეპარტამენტების პასუხისმგებლობაც. თუკი აქამდე მათ, მხოლოდ, დამკვეთის ფუნქცია ეკისრებოდათ, ახლა უკვე უშუალოდ მონაწილეობენ ამა თუ იმ შესყიდვის პროცესის მომზადებაში. დეპარტამენტებმა დაუბრკოლებელი მუშაობისათვის, ამ წესის თანახმად, შესყიდვების დეტალურად გაწერილი გეგმა უნდა შეიმუშაონ. კონკრეტული შესყიდვების ტენდერს კი, შემსყიდველი სტრუქტურული ერთეულის განაცხადის საფუძველზე, საფინანსო დეპარტამენტი ამზადებს. ეს განაცხადები, ტენდერის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე, დეპარტამენტებმა ადმინისტრაციის სახელზე უნდა წარადგინონ და მას თან უნდა დაურთონ შესასყიდი ობიექტის ტექნიკური დავალება. ტექნიკური დავალება წარმოადგენს შესასყიდი ობიექტისადმი წაყენებული მოთხოვნების სრულ აღწერილობას სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მინიშნების გარეშე. ტექნიკური დავალების დამუშავება და სავარაუდო ფასის დადგენა შემსყიდველმა სტრუქტურულმა ერთეულმა თსუ-ის შესაბამისი პროფილური სამსახურების ან მოწვეული კვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით უნდა განახორციელოს.

ელექტრონული შესყიდვების ახალი სისტემა შესყიდვების სფეროში თანამედროვე და პროგრესული სიახლეა. მისი უპირატესობა კი იმაში გამოიხატება, რომ შესყიდვების პროცესი სრულიად გამჭვირვალე გახდა. როგორც გაირკვა, ახალი წესის ამოქმედების პროცესში გარკვეული სახის სიძნელეები უკვე გამოიკვეთა, თუმცა 2011 წლის 1 თებერვლამდე დროებითი წესი გამოსაცდელი ვადით მოქმედებს და მოსალოდნელია, ხარვეზების აღმოფხვრა.

„ჩვენთან უკვე რამდენიმე ტენდერი გამოცხადდა გრანტების მიმართულებით, თუმცა სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ, რადგან ყველა მიმწოდებელი შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ჯერ არ დარეგისტრირებულა, ზოგიერთი შესყიდვა კი იმდენად მცირე ღირებულებისაა, რომ მათი მომწოდებლებისთვის ტენდერებში მონაწილეობა, ალბათ, ხელსაყრელი არ არის. მიგვაჩნია, რომ ეს დროებითი პრობლემებია — როგორც შემსყიდველები, ასევე, მიმწოდებლები ამ სისტემაში თანდათან ჩაერთვებიან და ახალი წესის მიმართაც თავის დამოკიდებულებას დახვეწენ. ეს სიახლე იყო ყველასთვის, რამაც გარკვეული შეფერხებები გამოიწვია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც შედარებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი წესის მიხედვით, ყველა შესყიდვა ტენდერის წესით უნდა განვახორციელოთ, ჩვენ კი მსხვილი და მრავალფეროვანი პროდუქციის შემსყიდველი ვართ. უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა, ახლახან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც შემოგვიერთდა და ჩვენი საქმიანობის სპექტრი კიდევ უფრო გაიშალა. ჩვენ ამისთვის, გარკვეულწილად, უკვე მომზადებულებიც ვიყავით. თსუ-ის ზოგიერთმა სტრუქტურულმა ერთეულმა მიმდინარე წლის მოთხოვნები კარგად დაგეგმეს, გაიაზრეს ის ცვლილებები, რაც შესყიდვების მიმართულებით იყო მოსალოდნელი და წინასწარ დაიჭირეს თადარიგი. — გვითხრა თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსმა სერგო სანაძემ.

ტენდერის მსვლელობაში თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტთან, სატენდერო კომისიასა და პროფილურ სამსახურებთან ერთად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საექსპერტო-მარეგულირებელი სამსახურები და მოწოდების პრეტენდენტი მრავალი ორგანიზაცია, რაც თსუ-ს საშუალებას აძლევს — ჰყავდეს მომწოდებლების ფართო სპექტრი და მისთვის საჭირო შესყიდვები მისაღები და საუკეთესო პირობებით განახორციელოს.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲔᲗᲘᲙᲔᲢᲖᲔ

ვისაც ასაკოვანი ბაბუები გვახსოვს, ისიც გვემახსოვრება, რომ მათ მოკრძალებულ სადილს ყოველთვის ახლდა მაგიდაზე თითო ხელადა წითელი ღვინო, რომელსაც სადილზე სიამოვნებით მიირთმევდნენ. მაშინ, ალბათ, გვეგონა, რომ ეს მხოლოდ ღვინის სიყვარულის ტრადიცია იყო. დღეს კი აღმოჩნდა, რომ ჩვენი ბაბუები ხალხური სიბრძნის ერთ პატარა „რიტუალს“ ასრულებდნენ — სუფთა ღვინით მკურნალობდნენ და ორგანიზმს მავნე უჯრედების განადგურებაში ეხმარებოდნენ.

პირველი გვერდიდან

ეს ტრადიცია საქართველოში ნელ-ნელა მიინავლა, ევროპაში კი ახლაც არსებობს და მეცნიერებს სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს. მაგალითად, 1992 წელს დოქტორმა სერჟ რენაუდმა კვლევების საფუძველზე დაადგინა, რომ მიუხედავად ესპანელებთან, იტალიელებთან და გერმანელებთან კვების რაციონისა და შემადგენლობის მსგავსებისა (ცხიმოვანი საკვები, ცხარე, მჟავე და ა.შ), ფრანგებს გაცილებით ნაკლებად აწუხებთ გულსისხლძარღვთა დაავადებები. კვლევამ აჩვენა, რომ ეს ფენომენი ღვინის სმის ფრანგულ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული: ისინი სადილზე ერთ ან ორ ჭიქა წითელ ღვინოს მიირთმევენ. რენაუდის დასკვნით, ღვინოს საუკეთესო სამკურნალო თვისებები გააჩნია, რადგან შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში თავისუფალ რადიკალებს ანადგურებენ, ან მათი მოქმედების მავნე შედეგებს ამცირებენ. მან ეს სტატისტიკა ღვინოში იდენტიფიცირებულ ბუნებრივ და ბიოლოგიურად მეტად აქტიურ ნივთიერებას – რეზვერატროლს დაუკავშირა.

რა არის თავისუფალი რადიკალები? ეს ისეთი აქტიური ნაწილაკებია, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმში მეტაბოლური პროცესების შედეგად გენერირებენ. ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების შედეგად მათი კონცენტრაცია შეიძლება იმდენად გაიზარდოს, რომ სისხლძარღვებში შემავალი ცილების (ელასტინი, კოოაგენი) სტრუქტურა დააზიანოს, რის შედეგადაც სისხლძარღვი უხეშდება, კარგავს ელასტიურობას და გულს სისხლის გადატუმბვაში ეფექტურად ვეღარ ეხმარება. ეს იწვევს ქოლესტერინის სისხლძარღვების კედლებში გამოლექვას და ქოლესტერინული ლექის (ბალთები) წარმოქმნას, რაც სისხლძარღვების განივკვეთს ავიწროებს. თავისუფალი რადიკალების ჭარბი რაოდენობა იწვევს სხვა დაავადებებსაც, როგორიცაა სიმსივნე, ალერგიები, ალცჰეიმერის დაავადება, ართრიტები, ასთმა, კატარაქტა, მეხსიერების დაქვეითება, ფსორიაზი და კიდევ ბევრი სხვა.

ორგანიზმს თავადაც გააჩნია თავისუფალი რადიკალებისაგან ბუნებრივი დაცვის იმუნიტეტი, მაგრამ სხვადასხვა პათოლოგიების დროს ორგანიზმის დაცვითი სისტემა სუსტდება. კვლევებით დადგინდა, რომ სწორედ ღვინო (განსაკუთრებით, წითელი) შეიცავს თავისუფალი რადიკალების ჩამჭერებს – ანტიოქსიდანტებს — ფლავონოიდებს (რეზვერატროლი, მირიცეტინი, ქვერცეტინი, კემფეროლი, მორინი, კატექინი, გალის მჟავა, ყავის მჟავა, და სხვ.). ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია, ღვინის დაყენებისა და დავარგების ტექნოლოგია ისე დაიხვეწოს, რომ სასარგებლო ნივთიერებათა რაოდენობა მაქსიმალურად შენარჩუნდეს.

სხვადასხვა ღვინის ანტიოქსიდანტური პოტენციალი დამოკიდებულია როგორც ღვინის დაყენების ტექნოლოგიაზე, ასევე, ყურძნის ჯიშზე, რომლისგანაც იგი მზადდება, რეგიონზე, სადაც ვაზია გაშენებული და კლიმატურ პირობებზე, რომელშიც ყურძენია მოწეული.

აღმოჩენილია, რომ ფლავონოიდებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს ყურძნის კურკა (წიპწა) და ყურძნის მარცვლის კანი. აქედან გამომდინარე, ქართველი მეცნიერებისთვის საინტერესო გახდა ღვინის დაყენების კახური წესი (ღვინის ჭაჭაზე დაყენება) და იმ თვისებების კვლევა, რამაც შეიძლება მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის სასარგებლო ღირებულებების დამატებითი მაჩვენებლებით გატანას შეუწყოს ხელი.

სწორედ ეს არის იმ სამეცნიერო პროექტის მიზანი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ბიოფიზიკისა და სპექტროსკოპიის ლაბორატორიაში მუშავდება.

საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტი, რომელიც ამ პროექტმა 2009 წლის ბოლოს მიიღო, 72 890 ლარის ღირებულებისა და წელიწადნახევრის ხანგრძლივობისაა. პროექტში ჩართულია 5 თანამშრომელი. მისი მიზანია ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობისა და ღვინოში შემავალი ძირითადი ანტიოქსიდანტების რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდიკის დამუშავება.

პროექტის ავტორთა აზრით, ამ გრანტით იქმნება სამეცნიერო პროდუქტი, რომელსაც კომერციული მოგების მოტანა შეუძლია უნივერსიტეტისთვის, რადგან პროექტის ღირებულება, არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ კომერციული თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანია. ამ კვლევებით შემუშავებული და დახვეწილი მეთოდიკით შესაძლებელი იქნება, გაიზომოს ღვინის ანტიოქსიდანტური უნარის მქონე კომპონენტების შემცველობა, ღვინის ანტიოქსიდანტური პოტენციალი და მათ შორის კორელაცია. ღვინის მაღალი სამკურნალო უნარის დასაბუთება, ქართული ღვინის უნიკალურ გემოვნებით და არომატულ თვისებებთან ერთად, რაც თავისთავად ხარისხის მაჩვენებელია, მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ამ პერსპექტივას მეცნიერებიც ასაბუთებენ.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲩᲘᲙᲕᲐᲘᲫᲔ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

„ჩვენ დავინტერესდით ანტიოქსიდანტური პოტენციალის შესწავლით ქართულ ღვინოებში და წლების წინ ავითვისეთ ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზომვის ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავაკვირდეთ თავისუფალი რადიკალების შთანთქმის სპექტრს და გავზომოთ თავისუფალი რადიკალების კონცენტრაციის ცვლილება სხვადასხვა ანტიოქსიდანტების დამატების გზით. ეს მეთოდი ევროპაში მიღებული მეთოდია.

უკვე ჩავატარეთ სათანადო კვლევები და აღმოჩნდა, რომ ქართული ღვინოების ანტიოქსიდანტური თვისებები ძალიან მაღალია და, ამ კუთხით, მათი უპირატესობა უცხოურ ღვინოებთან დიდია. რაც შეეხება ღვინის სამკურნალო თვისებების დადგენას და ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზომვას, ეს პროცესი მხოლოდ ახლა იწყება. ვფიქრობთ, მომავალში, გარდა საუკეთესო გემოვნებითი და კვებითი თვისებებისა, ღვინის უმაღლესი ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელი მისი ანტიოქსიდანტური პოტენციალიც იქნება და ქართული ღვინოები ამ მხრივაც მიიპყრობენ ყურადღებას.

მთავარი ისაა, რომ ღვინის ანტიოქსიდანტური პოტენციალის აქამდე მიღებული მეთოდით გაზომვა (ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის გამოყენებით ფრემის მარილის რადიკალის მიმართ) ნაკლებღირებულად მივიჩნიეთ, რადგან ჩვენ უნდა გავზომოთ ანტიოქსიდანტური აქტივობა ორგანიზმში არსებული რადიკალების და არა ფრემის მარილების მიმართ, რაც ხელოვნური მოდელური სისტემაა. ამიტომ გადავწყვიტეთ (ეს გრანტიც სწორედ ამ თემაზე მივიღეთ), დაგვემუშავებინა სრულიად ახალი მეთოდი — ე.წ. სპინ-ხაფანგებით ჰიდროქსილ- რადიკალების აქტივობის გაზომვა. ისინი იმდენად აქტიურები არიან, რომ მათი ელექტრონული პარამაგნიტული რეზონანსის გაზომვისთვის აუცილებელი მდგრადი კონცენტრაციის მიღება ჩვეულებრივ ოთახის ტემპერატურაზე შეუძლებელია. ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოვიყენოთ სპინური ჩამჭერები, რომლებსაც გააჩნიათ უდიდესი სელექტიურობა სუპეროქსიდანიონ რადიკალისა და ჰიდროქსილ რადიკალების მიმართ.

ჩვენ მიერ ათვისებული მეთოდი საკმაოდ რთულია, რადგანაც ფრემის მარილისგან განსხვავებით, აქ უკვე საჭიროა სხვადასხვა მოსამზადებელი და საცდელი სამუშაოების ჩატარება.

ახალი მეთოდით გაზომვები სულ რაღაც 4 თვის წინ დავიწყეთ და უკვე გვაქვს საინტერესო შედეგები, რომლითაც ქართული ღვინის პოპულარიზაციას შევუწყობთ ხელს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ მიგნებული მეთოდი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ჩაიში, კონიაკში ან ნებისმიერ სხვა ბუნებრივ სითხეში ანალოგიური კვლევების ჩასატარებლად“.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲨᲐᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შესაძლოა დაისვას კითხვა – საბოლოოდ რას მისცემს ეს მეთოდი მეღვინეს კომერციალიზაციის თვალსაზრისით? ამ კითხვაზეც გვაქვს პასუხი: გარდა იმისა, რომ ღვინო შეინარჩუნებს ანტიოქსიდანტური უნარის მქონე კომპონენტების მაღალ შემცველობას და მაღალ ანტიოქსიდანტურ პოტენციალს, ანუ მაღალ სამკურნალო ეფექტს, შესაძლებელი იქნება ამ მონაცემების ბოთლის ეტიკეტზე დატანა, რაც ღვინის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და მის ფასზეც შეუძლია გავლენის მოხდენა.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲩᲘᲙᲕᲐᲘᲫᲔ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲨᲐᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი: „ამ პროექტის შესახებ ჩვენ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებიც ჩავაყენეთ საქმის კურსში. საქართველოში არის თანამედროვე, მოდერნიზებული ღვინის ქარხნები და ჩვენ ოთხ მათგანათან გვაქვს კონტაქტი. ვთანამშრომლობთ ღვინის ქარხნების პროფესიონალ და კვალიფიციურ მეღვინე-ტექნოლოგებთან, რომლებიც მეცნიერებაში ჩახედულნი არიან და იციან, რომ ღვინის ასეთი ანალიზი მათთვის კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი იქნება.

რა თქმა უნდა, იმის ილუზია, რომ ყველა ქარხანა ითანამშრომლებდა ჩვენთან, არ გვქონია, მაგრამ ის 4 ქარხანა, რომელიც ამ თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა, სრულიად საკმარისი იყო, რათა მუშაობა დაგვენყო და მოსალოდნელი რეზულტატი საჯაროდ გვეჩვენებინა. გარდა ამისა, ჩვენს კვლევებში ჩავრთეთ როგორც მცირე მეწარმეების მიერ მოწოდებული, ასევე, ქარხნების მიერ ქვევრში, ტრადიციული ქართული წესით დავარგებული ღვინის ნიმუშები.

რატომ თანამშრომლობენ ჩვენთან ღვინის ქარხნები? ქარხანაში ღვინის ხარისხზე პასუხისმგებელი სწორედ მეღვინე-ტექნოლოგია. ჩვენ მათ ავუხსენით ჩვენი საქმიანობის შინაარსი და მიზანი. კერძოდ ის, რომ ღვინის დამუშავების სხვადასხვა მეთოდიდან შესაძლებელია ისეთი ოპტიმალური მეთოდის შერჩევა, რომ მან საუკეთესო ორგანოლეპტიკური მახასიათებლები და მდგრადობაც შეიძინოს და ანტიოქსიდანტების (ანუ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების) მაღალი შემცველობაც მაქსიმალურად შეინარჩუნოს.

ჩვენი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდება ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ფაზაში გაიზომოს ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობა, ღვინოში შემავალი მაჟორული ანტიოქსიდანტური კომპონენტების (პირველ რიგში რეზერვატროლის) რაოდენობრივი შემცველობა და მათი აქტივობის წილი, რათა გავაკონტროლოთ ანტიოქსიდანტური აქტივობის მაქსიმალური შენარჩუნება საბოლოო პროდუქტში.

პროექტის ფარგლებში პარალელურად ჩატარდება ანალიზები უცხოეთში წარმოებულ ღვინოებზე და მიღებული შედეგები შედარდება ქართულ ღვინოებს, თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ უკვე არსებული მონაცემები ქართული ღვინის უპირატესობაზე მეტყველებენ.

მომავალში ვაპირებთ ჩვენი პროექტისა და ჩვენ მიერ მიღებული შედეგების რეკლამირებას, ბიზნეს სექტორისთვის მიწოდებას. რა თქმა უნდა, სათანადო რეზონანსს მივცემთ ამ კვლევის შედეგებსაც. მის შესახებ გამოქვეყნდება პრესასა და ტელევიზიაში, ზაფხულის დასაწყისში კი ჩავატარებთ დიდ საერთაშორისო კონფერენციას, რომელზეც მოვიწვევთ ჟურნალისტებს, მეცნიერებს, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, მეღვინეობის სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და ყველა დაინტერესებულ პირს.

შესაძლოა დაისვას კითხვა – საბოლოოდ რას მისცემს ეს მეთოდი მეღვინეს კომერციალიზაციის თვალსაზრისით? ამ კითხვაზეც გვაქვს პასუხი: გარდა იმისა, რომ ღვინო შეინარჩუნებს ანტიოქსიდანტური უნარის მქონე კომპონენტების მაღალ შემცველობას და მაღალ ანტიოქსიდანტურ პოტენციალს, ანუ მაღალ სამკურნალო ეფექტს, შესაძლებელი იქნება ამ მონაცემების ბოთლის ეტიკეტზე დატანა, რაც ღვინის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და მის ფასზეც შეუძლია გავლენის მოხდენა. ბოლო პერიოდში ღვინის უცხოელი მწარმოებლები სწორედ ღვინის ბოთლის ეტიკეტზე იძლევიან ინფორმაციას ღვინოში შემავალი რიგი ანტიოქსიდანტების შემცველობის შესახებ და ხაზს უსვამენ მათი ღვინის სამკურნალო ეფექტს. ანალოგიური ინფორმაცია, ღვინის ანტიოქსიდანტური პოტენციალის ხარისხის მითითებით, დაიბეჭდება ქართული ღვინის ბოთლებზე, რასაც ჩვენი პროექტით გათვალისწინებული სამუშაო უნდა დაედოს საფუძვლად. ეს გაზრდის ქართული ღვინის პოპულარობას საერთაშორისო ბაზარზე და მის ფასსაც მნიშვნელოვნად აამაღლებს. კომერციული ამონაგები კი სწორედ კონტრეტიკეტებზე დატანილ ინფორმაციაზა გათვლილი.

უნდა ითქვას, რომ ღვინის მწარმოებლებისთვის ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით განხორციელებული სერიული გაზომვები მომავალში ფასიანი იქნება. ეს უნივერსიტეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს და რეინვესტიციის სახით ისევ მეცნიერების განვითარებას მოხმარდება.

ცხადია, ბიზნესსექტორის ამოძრავება პირველივე ეტაპზე ძნელია, მაგრამ როდესაც სხვა ქარხნები ნახავენ საბოლოო პროდუქტს, დაინტერესდებიან“.

პროექტი ივნის-ივლისში დასრულდება. სამეცნიერო პროდუქტის ბიზნესში გადანაცვლება კი დროში გახანგრძლივებული პროცესია. მთავარია, ყინული დაიძრას და ქართული ღვინის ეტიკეტზე გაჩნდეს წარწერა, რომ ეს ღვინო ვაზისა და ღვინის სამშობლოშია დამზადებული და მას ორგანიზმისთვის სასარგებლო (სამკურნალო) თვისებები გააჩნია. ღვინის შეძენით ხომ არა მხოლოდ ალკოჰოლურ სასმელს, არამედ იმ ქვეყნის კულტურას, ისტორიას, სულსა და ღირებულებებს ვყიდულობთ, სადაც ეს ღვინო თაობიდან თაობაზე გადაცემული ტრადიციით დაამზადეს.

მოამზადა მაია ტორაძემ

სპეტაკი კაცი — მეცნიერული სინდისის წინაშე

ნინო კაკულია

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტებმა ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლისა და კლასიკოსის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 110 წლისთავს ტრადიციული საჯარო სხდომა 2011 წლის 8 იანვარს (მეცნიერის დაბადების დღეს) მიუძღვნეს. სხდომის მონაწილეებს მიესალმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, რომელმაც ვარლამ თოფურიას პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობაზე ისაუბრა.

„ვარლამ თოფურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი გამოშვების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მან 1922 წელს დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი საენათმეცნიერო განხრით.

ვარლამ თოფურიას პირველი მეცნიერული ნაშრომი — „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ 1923 წელს დაიწერა. შემდგომში იგი იკვლევდა ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართული ენის სწავლების კარდინალურ საკითხებს.

ვარლამ თოფურია ავტორია 250-მდე ნაშრომისა, მათ შორის, რამდენიმე ათეული მონოგრაფიისა, მისი რედაქციით გამოცემულია 70-მდე წიგნი.

განსაკუთრებულია ვარლამ თოფურიას როლი სვანური ენის მეცნიერულ შესწავლაში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მისი სადისერტაციო ნაშრომი „სვანური ენა“, I, ზმნა, რომელიც 1930 წელს გამოიცა ცალკე წიგნად.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფესორ იოსებ ყიფშიძის, პროფესორ აკაკი შანიძისა და პროფესორ გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს... მოკლე ხანში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე განვრთნილი მკვლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია”.

ვარლამ თოფურიამ, აკაკი შანიძესთან ერთად, დააარსა სერია „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“. ამ სერიით გამოვიდა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიცაა „სვანური პოეზია“, I, (1939 წ.), „სვანური პროზაული ტექსტები“: 1. ბალსზემოური კილო (1929 წ.), 2. ბალსქვემოური კილო (1957 წ.), 3. ლენტეხური კილო (1967 წ.), 4. ლაშხური კილო (1979 წ.). ამ სერიით გამოცემულ ტექსტთა დიდი ნაწილი თვით აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მიერაა ჩაწერილი. აღსანიშნავია, რომ ვარლამ თოფურიას ჰქონდა სვანური ენის სახელმძღვანელოც, რომელიც კარგა ხანს ინახებოდა მეცნიერის არქივში და მხოლოდ 2 წლის წინ, 2008 წელს გამოიცა გურამ თოფურიასა და იზა ჩანტლაძის რედაქციით.

მეტად საყურადღებოა ვარლამ თოფურიას შრომები, რომლებიც ქართულ და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებს ეხება, კერძოდ, „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (5 ნაწილად, გამოიცა 1926-1941 წლებში); ვარლამ თოფურიამ საგანგებო შრომები მიუძღვნა ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას (6 ნაშრომი, გამოიცა 1938-1959 წლებში); ქართულ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებს ეხება მისი ნაშრომი: „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ (1937 წ.), „რედუქციისათვის ქართულ ენებში“ (1946 წ.), „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართულ ენებში“ (1954 წ.) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ვარლამ თოფურია ქართულ დიალექტებს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იკვლევდა, მოგვიანებით კი მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოიცა „ქართული დიალექტოლოგია. I“, (1961 წ.).

ქართულ ეპიგრაფიკას ეძღვნება ვარლამ თოფურიას ცნობილი შრომები: „შიდა ქართლში დაცული ზოგიერთი სიძველეთა წარწერები“ (1924 წ.), „ქვაჯვარანი საქართველოში“ (1942 წ.). ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხებს ეხება ვარლამ თოფურიას გამოკვლევები: „ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში“ (1942 წ.), „დ-თავსართიანი ზმნები ქართულში“ (1942 წ.).

ვარლამ თოფურიამ საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლების მეცნიერულ მეთოდიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია: „ქართული წერის დედანი“ — დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის (I გამოცემა 1933 წ.); „მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ (1953-1960 წწ.); ცალკე წიგნად — „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965 წ, 1988 წ, 2005 წ.).

განსაკუთრებულია ვარლამ თოფურიას ღვაწლი ქართულ ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში. იგი ცნობილი ლექსიკონების თანაავტორია, ესენია: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ი. გიგინეიშვილთან ერთად) 1941, 1946, 1949, 1968 წწ; „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ს. ყაუხჩიშვილთან ერთად) 1938, 1940 და 1958 წწ. და „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (გ. ახვლედიანთან ერთად) 1942 და 1950 წწ. ვარლამ თოფურია იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქციის წევრი და III ტომის რედაქტორი, რისთვისაც 1971 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ვარლამ თოფურია ხელმძღვანელობდა ქართული ენის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს, მონაწილეობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი რესპუბლიკური კომისიის მუშაობასა და მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნასა და დანერგვის საქმეში.

იგი სამეცნიერო საქმიანობას აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც უხამებდა. ასე განვლო გზა მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1936 წლიდან 1966 წლამდე. 1945 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებულ ახალი ქართული ენის კათედრას. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისისა და გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში.

ვარლამ თოფურია სამეცნიერო მოღვაწეობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებს გარდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც ეწეოდა. 1936-1941 წ.წ. იყო ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე (1941-1960); ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1941-1943); ხოლო 1943 წლიდან 1949 წლამდე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

1944 წლის თებერვალში ვარლამ თოფურია აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1946 წელს კი მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება“, — ამ ძირითად ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ საუბრისას.

იმის დასტურად, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურაც აქტიურად აგრძელებს და ეხმიანება ვარლამ თოფურიას სამეცნიერო საქმიანობას, 8 იანვრის კონფერენციის მონაწილეებმა საკუთარი მოხსენებები წარმოადგინეს, მათ შორის: ზურაბ ჭუმბურიძემ — „ზოგი სვანური და კოლხური გვარის ეტიმოლოგიისათვის შიდამიგრაციული პროცესების შუქზე“, დამანა მელიქიშვილმა — „სტატისტიკის მნიშვნელობა გრამატიკული კვალიფიკაციისთვის“, ვახტანგ იმნაიშვილმა — „ისწრაფვის თუ ისწრაფის?“, გიორგი გოგოლაშვილმა — „ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები“, ავთანდილ არაბულმა — „კიდევ ერთი ხმოვანთავსართთოვანი სახელისათვის“, რამაზ ქურდაძემ — „ერთი უცხოენოვანი სუფიქსისათვის რუსულ და ქართულ ჟარგონში“, სალომე ომიაძემ — „სავსებით“, „სრულიად“, „აბსოლუტურად“ თანამედროვე მედიადისკურსში“, ინგა სანიკიძემ — „კარსანისა“ და „კსნის“ დაკავშირებისათვის“, რუსუდან ზექალაშვილმა — „ნატვრის გამოხატვა ქართულ ენაში“, ქ. მარგიანი-სუბარმა — „ომონიმური -უნ სუფიქსისათვის სვანურ ენაში“, ქეთევან გოჩიტაშვილმა, გიული შაბაშვილმა — „ლიტერატურული ტექსტის ანალიზი კრიტიკული კითხვისა და წერის პრინციპების მიხედვით“, ნინო შარაშენიძემ — „უარყოფის სისტემა ქართულში“, თამარ თუშიშვილმა — „-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სხვადასხვა ფუნქციის გამოვლენისათვის აუცილებელი ფაქტორები ძველ ქართულში“ და ნათია მირიტაძემ — „ფრაზეოლოგიური წინდებულები ბიბლიასა და ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხმიანებოდა ვარლამ თოფურიას ენათმეცნიერულ კვლევის სფეროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის, რომ ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ენობრივი მოვლენების სისტემური ანალიზი.

პიროვნული შტრიხები

მეცნიერება, ერთი შეხედვით, მიუკერძოებელია, რადგანაც იგი ობიექტურ რეალობას სწავლობს და ზნეობასთან თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ასეთი მიდგომა არასწორია, რადგან მეცნიერებას ქმნიან ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა მორალური თვისებები გააჩნიათ. სწორედ ამდენად არ შეიძლება მეცნიერის მოღვაწეობის ზნეობრივი ასპექტის უგულებელყოფა. გარდა ამისა, თავად სტუდენტთათვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მასწავლებლის პიროვნულ ფაქტორს, რადგან პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება უმრავლესობა კარგი მსმენელი იყოს პედაგოგის ლექციისა, მაგრამ მისი საქმიანობისა და იდეების მიმდევრად, უმეტესწილად, ყალიბდებიან მაშინ, როცა პედაგოგში პიროვნულ ფასეულობებსაც ხედავენ. პირველ რიგში სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელთან შერწყმული, თითქმის ლეგენდარული მეცნიერები არცთუ შორეული წარსულიდან, რომელთა ღირსეულ წარმომადგენლადაც სამართლიანად ითვლება აკადემიკოსი ვარლამ თოფურია. მის დაწყებულ საქმეს დღესაც აგრძელებენ მისი მოწაფენი და მოწაფეთა მოწაფეები. მათი გზამკვლევი მეცნიერებასა თუ ცხოვრების შარაგ ზაზე სწორედ ვარლამ თოფურიას ის მდიდარი შინაგანი ბუნებაა, რაც ადამიანობასაც გასწავლის (ადამიანობის სწავლაც შეიძლება „სიკვდიმდე“, თუ თავად ამის სურვილი გაქვს) და რასაც ასე მოწიწებით იხსენებენ მისი მემკვიდრენი.

დამანა მელიქიშვილი, თსუ-ის პროფესორი ემერიტუსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

ბატონმა ვარლამმა გამიღო უნივერსიტეტის კარი და მანვე განსაზღვრა ჩემი მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის სფერო.

პროფესორ ვარლამ თოფურიას ლექციებს თანდათანობით შეჰყავდი ქართული ენის უკიდეგანო სამყაროში, მიჰყავდი ახალ-ახალი აღმოჩენებისაკენ, მისი გრამატიკის კურსი ცხოველ ინტერესს აღვიძებდა ქართული ენის, ქართული სიტყვის ბუნებისა და აგებულების, ქართული ზმნის ამოუწურავი შესაძლებლობების კვლევისათვის. ბატონი ვარლამის ხელმძღვანელობით წარმართული მუშაობა საკურსო და საკონფერენციო თემებზე, რიგით სემინარებსა და გამოცდებზეც კი – ეს იყო ცოცხალი აზრის გაზიარებისა და მსჯელობის შემოქმედებითი ატმოსფერო, რაც საშუალებას აძლევდა სტუდენტს თავისუფალ კამათში განეხილა და შეეფასებინა ნებისმიერი ავტორის თვალსაზრისი, ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი ამა თუ იმ სადავო საკითხზე, გაეწვრთნა გონება, ესწავლა კრიტიკული აზროვნება, ეგემა დამოუკიდებელი შრომით მიღწეული აღმოჩენების სიხარული.

სასწავლო პრაქტიკებსა თუ სამეცნიერო ექსპედიციებში მივლინებულ სტუდენტებს სხვადასხვა სკოლაში თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდებოდა ბატონი ვარლამის ნათელი კვალი და თან გვდევდა მისი ზრუნვა და ყურადღება. მახსოვს, ერთხელ, ბატონმა ვარლამმა და ბატონმა ოთარმა (ურიდიამ), რომელიც ქართული ენის გრამატიკაში სემინარებს გვიტარებდა და, როგორც წესი, ყოველთვის ესწრებოდა ბატონი ვარლამის ლექციებს, წაგვიყვანეს საინგილოში. სწორედ მაშინ ისტამბებოდა „ქართული დიალექტოლოგიის“ დიდი კრებული. ბატონმა ვარლამმა ისარგება შემთხვევით და თან წამოიღო კრებულში შესატანი ინგილოური დიალექტის მასალა, რათა ადგილზე შეემოწმებინა ფორმები. ალიაბათში რომ ავედით, ბატონი ვარლამი, იქვე, უბანში, მაცხოვრებლებთან გამოკითხვით ანაბეჭდებს ასწორებდა. წარმოიდგინეთ, გაკვირვებასთან ერთად, როგორი აღშფოთება დაგვეუფლებოდა, როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენი სათაყვანებელი მხცოვანი მოძღვარი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს საქმის გასარკვევად. საჭირო გახდა, თბილისში, ცეკას განყოფილებაში დარეკვა, რომ გაეთავისუფლებინათ. წინა ზაფხულში კი ქართველური ენების განყოფილების სტუდენტები ექსპედიციაში გაგვაგზავნა რაჭაში, სადაც წინა წელს თავად იყო ჩასული. მთელი რაჭა ფეხით მოვიარეთ და, რომ გაიგებდნენ — ვარლამ თოფურიას სტუდენტები ვიყავით, თავს გვევლებოდნენ. იქიდან ერთი საერთო რვეული უნდა ჩამოგვეტანა — შევსებული ჩაწერილი მასალითა და გამოკვლევით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორეკურსელებმა ვნახეთ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ გამოქვეყნებული, რაჭაში ჩაწერილი ჩვენი მასალები.

მე სამუდამო დარდად მიმყვება ის, რომ ბატონი ვარლამი ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დაცვას არ დასწრებია. იგი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება არა მარტო ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის, არამედ მთლიანად ქართული საენათმეცნიერო სკოლისათვის დიდი ელდა და დანაკლისი იყო.

ელენე კოშორიძე, თსუ-ის პროფესორი:

— ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი ვარლამ თოფურია სტუდენტებისა და ასპირანტების საყვარელი მოძღვარი იყო. იგი უპირველესად თავისი გარეგნობით იპყრობდა მნახველს: თოვლივით გათეთრებული ხშირი თმითა და კეთილშობილური ღიმილით, რომელიც ანდამატივით იზიდავდა კაცს.

ლექციის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოდიოდა უნივერსიტეტში, დინჯად შემოაბიჯებდა მის კედლებში და თითქოს თან მოჰყვებოდა სითბო და სინათლე. I კორპუსის შესასვლელთან უამრავი ნაცნობი ხვდებოდა. იგი უპირველესად ძია მოსეს (მაშინდელ დარაჯს) ესალმებოდა, მოიკითხავდა, ხელს ართმევდა და შემდეგ უკვე კოლეგების, ასპირანტების თუ სტუდენტების თანხლებით მიიკვლევდა გზას ქართული ენის კაბინეტისაკენ, რომელიც დღეს მისი სახელობისაა.

ლექციების შემდეგ იწყებოდა საკურსო შრომებთან დაკავშირებული კონსულტაციები. ყოველ სტუდენტს ცალ-ცალკე უხსნიდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნიმუშების ბარათებზე ამოწერას (და არა რვეულში!) კლასიფიკაციისათვის, თუ რამდენად აუცილებელი იყო სამეცნიერო ლიტერატურის კეთილსინდისიერად დამოწმება და გამოყენებული ლიტერატურის სიის მითითება და ა.შ. ზოგჯერ სტუდენტებთან და ასპირანტებთან მუშაობაში გართულს, უნივერსიტეტში შემოღამებია კიდეც, რის გამოც შეწუხებული ქალბატონი თამარი (მეუღლე) რეკავდა: სადილიც დაივიწყა და წამალიცო.

იგი შეფასებისას ძალიან ობიექტური იყო. უცოდინარი სტუდენტი მასთან ნიშანს ვერ მიიღებდა. არაობიექტურობა გამორიცხული იყო, მით უფრო, პროტექცია. ამას ბატონ ვარლამს ვერავინ შეჰბედავდა. ერთხელ, ვარლამ თოფურიამ ერთ ხელმოკლე სტუდენტს ვერ დაუწერა დამაკმაყოფილებელი ნიშანი, რის გამოც მას, წესისამებრ, სტიპენდია მოეხსნა. ბატონმა ვარლამმა მას დრო მისცა საგნის მოსამზადებლად და თან სტიპენდიის საქმეც „მოუგვარა“: მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ, თურმე, ბატონი ვარლამი ამ სტუდენტს საკუთარი ხელფასიდან ურიცხავდა „სტიპენდიას“ ისე, რომ ამის შესახებ, მოლარეს გარდა, არავინ იცოდა.

მასთან ყოველი შეხვედრა გვზრდიდა, სულიერად გვამაღლებდა, ცხოვრებას გვასწავლიდა, ზნეობრივად გვაფაქიზებდა. კარგად თქვა მისმა ერთ-ერთმა უკრაინელმა მოწაფემ გრიცკო ხალიმონენკომ — ბატონმა ვარლამმა არა მარტო ქართული ენა, ადამიანობაც მასწავლაო.

P.S. პოეტი ლადო ასათიანი ხშირად აღნიშნავდა თურმე, რომ ქართული ენა ვარლამ თოფურიამ შეასწავლა: ოთხი წლის განმავლობაში ვისმენდი მის ლექციებს და თუ რამ სწორად დამიწერია, სწორედ მას უნდა ვუმადლოდე. ვარლამი ყოველთვის გვანათებდა და გვანათლებდაო, — უთქვამს ლადო ასათიანს, რომლის გვერდზეც, დიდების პანთეონში, მისი ესოდენ საყვარელი მასწავლებელი განისვენებს.

ჟარგონი ენის სიწმინდეს საფრთხეს უქმნის

ნინო კაკულია

სხვა ენებიდან შემოსულ და ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებულ ჟარგონთა კვლევა, ლინგვისტური თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა, თუმცა, სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით, ბევრი ჟარგონული ფორმა მიუღებელია. ამდენად, მათი გამოყენება კულტურული, დარბაისლური მეტყველების დროს დაუშვებელია. ჩვენს რეალობაში, ქართულ ენაში უკვე კარგად „ფესვგამდგარი“ ჟარგონები ენის სიწმინდეს გარკვეულ საფრთხეს უქმნიან. მათი გამოყენება ქართულ სალიტერატურო ენაში, ზოგჯერ, შეიძლება, იმის აფიშირებაც იყოს, თუ როგორ მეტყველებენ ადამიანები საქართველოში და როგორია მათი ერთმანეთთან საურთიერთო ენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ენისთვის მიუღებელ ჟარგონთა ხმარებას საზოგადოებამ უნდა წაუყრუოს. ეს პრობლემა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა გადასაწყვეტი, თუკი ქართული ენის სიწმინდის დაცვას ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად მივიჩნევთ. ამ მეტად მტკივნეულ საკითხს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი ყოველთვის ქმედითად ეხმაურება, განსაკუთრებით საქართველოში ოფიციალურად გამოცხადებულ ქართული ენის დაცვის დღეს — 14 აპრილს. ამ დღეს ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მრავალი ასპექტით ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემებისა თუ ახალი სამეცნიერო კვლევის შედეგების წარმოჩენას ისახავს მიზნად. რამდენადაც ეს თემატიკა საზოგადოებისთვის აქტუალურად მიგვაჩნია, დავინტერესდით ჟარგონის კვლევის შედეგებით, რასაც ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორი რამაზ ქურდაძე აწარმოებს.

რა ღონისძიებებს მიმართავს ქართული ენის ინსტიტუტი იმისათვის, რომ ჟარგონთა ხმარება (რომელიც მხოლოდ ვიწრო სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი მეტყველებაა და, ზოგჯერ, საზოგადოების ფართო წრეებისათვის გაუგებარია) მიუღებელი გახადოს, ამ თემის ირგვლივ, თავად საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებით. აღნიშნულ საკითხზე რამაზ ქურდაძემ თავისი მოსაზრება გაგვიზიარა:

— ქართულ ენაში ბევრი ჟარგონი გვხვდება — ზოგმა ისე „დაიმკვიდრა“ ენაში ადგილი, რომ მისი წარმოთქმა ყურს უცხოდაც კი არ ხვდება. რა პროცესმა განაპირობა მეტყველებისას ქართულ ენასთან მათი ასეთი შერწყმა?

— საერთოდ, ენა საზოგადოების განვითარების დონის მაჩვენებელია. ჩვენს შემთხვევაში მეტყველების გაუარესება ცხოვრების წესის ერთგვარმა გაუხეშებამ, ტრადიციული ფასეულობების გარკვეულწილად მივიწყებამ განაპირობა. სამწუხაროდ, პრესასა და ტელეგადაცემათა ენაშიც კი დამკვიდრდა ისეთი გამოთქმები, რაც დარბაისლური მეტყველებისათვის მიუღებელია. მაგალითად, **გაუპრავა** — დაუკანონას მნიშვნელობით, **დაუპადიეზდა** — სადარბაზოში დახვდა ანგარიშსწორების მიზნით და სხვა.

— რა ტიპისა და წარმომავლობის ჟარგონები ანაგვიანებენ ქართულ სამეტყველო ენას, რისი აღმოფხვრაც აუცილებელია ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად? ამ მეტად აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით რა კვლევა მიმდინარეობს და რა ღონისძიებებს მიმართავს ქართული ენის დასაცავად თქვენი ინსტიტუტი?

— დარბაისლურ მეტყველებას, რაც თავისთავად სალიტერატურო ენის ნორმებზეა დამყარებული, ყველა ტიპის ჟარგონი ანაგვიანებს. აქ არ არსებობს გარჩევა — ეს ჟარგონი მისაღებია სალიტერატურო ენისათვის და ეს კი მიუღებელი. ჟარგონი ჟარგონია და მას თავისი ადგილი აქვს ენის სისტემაში. მართალია, ჟარგონს მწერლებიც იყენებენ, მაგრამ მას მხოლოდ პერსონაჟთა სახის შესაქმნელად და სიტუაციათა ზუსტად აღწერის მიზნით მიმართავენ. ამას ძალზე ოსტატურად ახერხებენ ჩვენი თანამედროვე მწერლები თავის რომანებში, კერძოდ: ბასა ჯანიკაშვილი „ოცნებებით კაიროში“, აკა მორჩილაძე „ქაღალდის ტყვია“, თამარ ფხაკაძე „ჩვენ სამნი და ანგელოზი“ და ა.შ.

ჟარგონულ ფორმებზე უარის თქმა და დარბაისლურ მეტყველებაზე დაბრუნება, ერთგვარად, ცხოვრების წესის შეცვლაზეა დამოკიდებული. ენა ხომ ჩვენს ცხოვრებას ასახავს, ანუ ჩვენ ვლაპარაკობთ ისე, როგორც ვცხოვრობთ. ცხოვრების ჯანსაღი წესი, ტრადიციული ფასეულობებისაკენ მიბრუნება და, რა თქმა უნდა, ჩვენი მშობლიური ქართული მეტყველების კულტურაში უფრო ღრმად გარკვევა დაგვიბრუნებს დარბაისლურ ქართულს.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი სასწავლო ინსტიტუტია. ბუნებრივია, მას სამეცნიერო დანიშნულებაც აქვს და ჩვენი კოლეგები იკვლევენ ქართული და ქართველური ენების საკითხებს, მაგრამ ენის სიწმინდის დაცვა, როგორც ჟარგონული ფორმების, ასევე, სხვა საკითხების მხრივ, მხოლოდ ერთი ინსტიტუტის საქმე არ გახლავთ. ქართული ენის სიწმინდეს ყოველთვის ექცეოდა ყურადღება. თუმცა, დღეს ამ მიმართებით კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. ქართული ენა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

კვლევა

მეცნიერება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

თამარ დადიანი

ადამიანებით ვაჭრობა ანუ ტრეფიკინგი, უკვე კარგა ხანია, საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. ეს დანაშაული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ერთად, ტრეფიკინგი ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან წყაროს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვის. გაეროს გამოთვლებით, დამნაშავეთა სამყაროსთვის ადამიანებით არალეგალურ ვაჭრობას, ყოველწლიურად, დაახლოებით, 7 მილიარდი დოლარის მოგება მოაქვს. ყველა დაჯგუფება, რომელიც არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგშია ჩაბმული, დიდ ფულს შოულობს მასობრივი სექსუალური თუ სხვა სახის შრომითი ექსპლუატაციით, რაც ორგანიზებული დანაშაულის ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს.

ტრეფიკინგის პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ჩვენი ქვეყანა, შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიტული სახელმწიფოა. აქედან მსხვერპლნი, მეტწილად, გერმანიაში, თურქეთში, საბერძნეთსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში გადაჰყავთ. სიტუაციური ანალიზი ამ ორგანიზებული დანაშაულისთვის ხელსაყრელ პირობებს ამგვარად ხსნის: 1. მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო ხალხი უკეთეს საცხოვრებელ პირობებს საზღვარგარეთ ეძებს და საკუთარ თავს ტრეფიკინგის მსხვერპლის რისკის წინაშე აყენებს; 2. საქართველოში ე.წ. ქუჩის ბავშვების საკმაოდ დიდი რაოდენობაა. ამას ემატება უკანონოდ დაბადებული ბავშვებიც, რომელთა რიცხვიც არც თუ ისე მცირეა. მათი „გაქრობა“ კი ნაკლებად შესამჩნევია. არც თუ ისე იშვიათია თურმე მათი სხეულის ორგანოების გამოყენების ფაქტებიც. არსებობს კიდევ არაერთი ნიადაგი იმისა, რაზეც არის „დამყნობილი“ ტრეფიკინგის შემთხვევები. თუმცა ამჯერად ბავშვთა ტრეფიკინგის პრობლემებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რამდენადაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით გამართული სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთი საინტერესო მოხსენება სწორედ ამ თემას მიეძღვნა („ბავშვთა ტრეფიკინგი საქართველოში“, მომხსენებელი გოჩა მამულაშვილი).

ტრეფიკინგთან ბრძოლის პროგრამა არასრულწლოვანზე ორიენტირებული არ არის

გოჩა მამულაშვილი, სამართლის დოქტორი:

— ბავშვთა ტრეფიკინგი მასშტაბური მოვლენაა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სათანადო და ობიექტური კვლევა არ ხდება. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთმანეთისგან განსხვავებული სტატისტიკა აქვთ, განსხვავებულია სასამართლო სტატისტიკაც. ამიტომ სრული სურათის წარმოდგენა რთულია. ბავშვთა ტრეფიკინგი ფარული დანაშაულია, რადგან ამ დანაშაულობათა სრული რაოდენობა არ ფიქსირდება. საბაბი კი, რაც საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგის ზრდას უწყობს ხელს, ყველასთვის თვალსაჩინოა: ბავშვები, საქართველოში, იძულებით მათხოვრობასა და შრომაში არიან ჩაბმულნი. ხშირად შეხვდებით ქუჩაში ბავშვებს, რომლებიც მანქანებს რეცხავენ, ჯართს აგროვებენ. საქართველოში 2007-2008 წლებში 300-ზე მეტი შემაკავებელი ორდერია გაცემული, რომელიც ოჯახურ ძალადობას ეხება. ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფს ის ბავშვები წარმოადგენენ, რომლებიც ოჯახურ ძალადობას გამოექცნენ. ამ რისკ-ჯგუფს ემატებიან ობოლი, მიუსაფარი ბავშვები და ისინი, ვინც ქუჩაში ცხოვრობენ. მიზეზი, თუ რატომ ხდება ის ტრეფიკინგის მსხვერპლი, ერთი და იგივეა: უმუშევრობა, ოჯახური სიდუხჭირე, ოჯახური ძალადობა, ინცესტის დამალვის აუცილებლობა და ა.შ. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ბავშვები იოლად სამართავი კატეგორიაა: ადვილია მათი ცდუნება, მოტყუება... ხშირად გადაბირება დაპურების შეთავაზებით ხდება, ხანდახან კი ტანსაცმლის ან სათამაშოს სანაცვლოდ. ასეთი ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე ისინი ძალიან მოუმზადებელნი არიან და ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ.

ამ პრობლემის მოგვარებას ერთიანი ძალისხმევა სჭირდება. ასეთ ბავშვებზე მზრუნველობისთვის გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად ერთობლივი ღონისძიებები იგეგმება. როგორც მოგეხსენებათ, თავშესაფარში ბავშვებს მხოლოდ 18 წლამდე აჩერებენ, შემდეგ ის ისევ ქუჩისთვისაა განწირული, რომელთა გზა, ხშირ შემთხვევაში, ციხემდე მიდის. თუ ბავშვთა რეაბილიტაცია და საზოგადოებასთან ინტეგრაცია არ მოხერხდა, ისინი კვლავაც დანაშაულებრივი სამყაროსკენ მიმავალ გზას შეუდგებიან. ამიტომ მათ თავი საზოგადოებისგან გარიყულად არ უნდა იგრძნონ, უნდა დასაქმდნენ, რაღაც ინსტიტუციებში უნდა ჩაერთონ... სახელმწიფო კი ხშირად რეპრესიებს ატარებს მათ მიმართ, დამნაშავეებივით სჯის და არ ითვალისწინებს იმ მიზეზებს, თუ რამ მიიყვანა ისინი ასეთ მდგომარეობამდე.

უნდა აღვნიშნო, რომ მიუსაფარი და უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვები, ხშირად, დაუცველნი არიან ინტერნეტის ცუდი ზეგავლენისგანაც. მაგალითად, სახალხო დამცველის ანგარიშში ამოვიკითხე, რომ თბილისში, ყოველდღიურად, ღია ცის ქვეშ ღამეს ათევს, დაახლოებით, 70-80 ბავშვი. ზაფხულის პერიოდში ეს გაცილებით ადვილია, ვიდრე ზამთარში, ამიტომ ისინი ღამის გათევას ინტერნეტ-კაფეში ამჯობინებენ, რაც დღისით ქუჩაში მოგროვილი თანხით შეუძლიათ. ინტერნეტი მათი გადაბირების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. რატომღაც, ბავშვები ასეთ საფრთხეებს სერიოზულად ვერ აღიქვამენ, ვირტუალური სამყარო კი რეალურისგან ძალიან განსხვავდება. ვირტუალურ სამყაროში ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, ამიტომ, ხშირად, ისეთი რამის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს, რასაც რეალურ სამყაროში ვერ მისცემდნენ. შეიძლება მან ინტიმურ თემებზე ესაუბროს ვიღაცას გულახდილად, ან თავისი შიშველი სხეულის ფოტო რომელიმე საიტზე განათავსოს — ამ დროს კი შეიძლება ვიღაცამ, რომელიც დაინტერესებულია ბავშვის ცდუნებით, მას თავი თანატოლად გააცნოს, შემდეგ კი გადაიბიროს. ეს ურთიერთობა კი შემდეგ, შესაძლოა, ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდოს. მაგალითად, ქართველმა გეებმა საკუთარი გვერდიც კი გახსნეს ინტერნეტში. ამიტომ ინტერნეტპროვაიდერებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ასეთი საიტები მოზარდისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდეს.

მსოფლიოში გავრცელებულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და მათი პორნოინდუსტრიაში ჩაბმა. ამის სიმპტომები საქართველოშიც შეიმჩნევა. მართალია, საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის პროგრამა აქვს, მაგრამ იგი არასრულწლოვანზე საგანგებოდ ორიენტირებული არ არის. ამიტომ ამ კუთხით მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა არ გვაძლევს უფლებას, მოზარდებს დასაკარგად ვიმეტებდეთ...

ტრეფიკინგთან ბრძოლა საქართველოში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს, თუმცა უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ პრობლემით გაცილებით მეტი ადამიანი მიმართავს. ამიტომ მათ დანაშაულის გამოვლენის გაცილებით მეტი ინდიკატორი გააჩნიათ, ვიდრე ოფიციალურ მხარეს, რადგან ეს მხარე მონაცემთა „გალამაზებას“ ცდილობს ქვეყნის იმიჯის გადასარჩენად. მე შევხვედრილვარ არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. ისინი დიდ ინფორმაციას ფლობენ არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც. წესით კი ამ პრობლემის მიზეზებისა და შედეგების კვლევა მათ სახელმწიფომ უნდა დაუკვეთოს, რის შედეგადაც დაიდება სტატისტიკა. მსოფლიოში არ არსებობს ამ სფეროს კვლევის საყოველთაო მეთოდიკა, რომლის შედეგადაც ზუსტი ციფრები დასახელდება, ამიტომ დასკვნები ჰიპოთეზების დონეზე კეთდება. რა შესაძლებლობებიც არსებობს, ჩვენ ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ პრევენციის მიზნით, ანუ უნდა დავიცვათ ის, ვინც უკვე მსხვერპლია და, რაც მთავარია, უნდა მოვახერხოთ მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ კომპლექსურად ბრძოლის მცდელობანი

პროექტის „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თანამედროვე სამართლებრივი მეთოდები“ ფარგლებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე განხილულ საკითხთა შორის გამოვყოფთ პროექტის მენეჯერის, ასისტენტ-პროფესორის გიორგი გორაშვილის მოხსენებას — „დასჯადობა კანონიერი ქურდობისათვის“, რომელიც სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე მომზადდა. „კანონიერი ქურდების“ სამყარო და მენტალიტეტი, მათი ღირებულებები ყოველთვის იქცევდა სამართალდამცველი ორგანოების ყურადღებას.

მე-10 გვერდზე

სიყვარულით დამსხვრეული მითები

იმ გამორჩეულ სახეებს შორის, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ათეულობით წლების განმავლობაში ღირსება შეუნარჩუნეს, უდავოდ ასახელებენ მეცნიერსა და პედაგოგს, ქალბატონ ***მზექალა შანიძეს****, რომლის მხოლოდ სახელისა და გვარის ხსენებაც კი საკმარისია, რომ მკითხველს მისადმი გარკვეული ემოცია გაუჩნდეს. მის დანახვაზე ფეხზე დგება ყველა — მეცნიერი თუ სტუდენტი...*
მის ხსენებაზე ჩნდება მოწიწებისა და რიდის გრძნობა, რაც მისი აკადემიური ცოდნითა და პრინციპულობითაა გამოწვეული...

მაია ტორაძე

წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, თსუ-ის საპატიო პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მზექალა შანიძეს 85 წელი შეუსრულდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 18 იანვარს ამ თარიღს საიუბილეო კონფერენცია მიუძღვნა და მზექალა შანიძის კოლეგებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, მის ყოფილ თუ ახლანდელ სტუდენტებს მოუყარა თავი.

დარბაზში მსხდომთაგან ალბათ არავის სჭირდებოდა იმის შეხსენება, თუ რა წვლილი შეიტანა მზექალა შანიძემ ქართველოლოგიის განვითარებაში. აქვე აღინიშნა, რომ ქალბატონი მზექალა მხოლოდ უნივერსიტეტს არ ეკუთვნის. იგი არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

„იგი დღესაც აქტიურად განაგრძობს მეცნიერისა და მკვლევარის მოღვაწეობას. ბოლო წიგნი, რომელიც მან გამოსცა, ესაა „ქართული ფსალმუნის სიმფონია“, რომელსაც თავად ქალბატონი მზექალა, მოკრძალებით, მასალებს ეძახის, სინამდვილეში ძალიან დიდი ნაშრომია, რომელსაც მეცნიერმა საფუძველი ქართული ფსალმუნების ტექსტების გამოქვეყნებით წლების წინ ჩაუყარა“, — განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ საიუბილეო კონფერენციის გახსნისას და შემდეგ სიტყვა დაუთმო თსუ-ის რექტორის მრჩეველს მარინა ლომოურს, რომელმაც იუბილარს რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის მისასალმებელი წერილი და საჩუქარი გადასცა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ ჭუმბურიძემ მზექალა შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოკლედ მიმოიხილა. „1926 წელს, როდესაც მზექალა დაიბადა, ბატონი აკაკი 39 წლისა იყო და ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. ასეთი მამის შვილები, ერთი მხრივ, განებივრებულნი არიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ხშირად აწუხებთ ის, რომ მათგან ბევრს მოელიან და, შესაძლოა, მოლოდინი ვერ გაამართლონ. მზექალას არასოდეს უსარგებლია მამის სახელით. ის ცდილობდა და ახერხებდა მეცნიერებაში დამოუკიდებლად გზის გაკვალვას და ყურადღების ცენტრში ყოფნას. სწორედ ამ დამოუკიდებლობით მგონია გამოწვეული, რომ მან სპეციალობად არა ქართული ენა და ლიტერატურა აირჩია, არამედ აღმოსავლური, სემიტური ენები“, — აღნიშნა ბატონმა ზურაბ ჭუმბურიძემ.

1948 წელს მზექალა შანიძემ დაამთავრა უნივერსიტეტი, ჩააბარა ასპირანტურაში სემიტოლოგიის სპეციალობით და ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით პეტერბურგში გაემგზავრა. 1951 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფარინგალური ბგერები სემიტურ ენებში“. 1974 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“. ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა და სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი. ამ გამოცემას ქართული ბიბლიური ტექსტების მკვლევრები გვერდს დღესაც ვერ აუვლიან.

გარდა მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისა, რომელსაც იგი ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში, აღსანიშნავია მზექალა შანიძის მონაწილეობა სამეცნიერო ექსპედიციებში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 1994 და 2002 წლებში სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში ჩატარებული კვლევები იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად.

მნიშვნელოვანია მზექალა შანიძის მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებში. მისი 140-ზე მეტი ნაშრომი დაბეჭდილია გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, რუსეთისა და საბერძნეთის ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში.

მეცნიერები განსაკუთრებით გამოკვეთენ მზექალა შანიძის შრომებს „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დადგენას, ცალკეული ადგილებისა და ლექსიკური ერთეულების განმარტებას და სხვ.

ბატონმა ზურაბ ჭუმბურიძემ ისაუბრა მზექალა შანიძის მიერ გამოცემული უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყვაი ართრონთათვის“ შესახებ. „ეს თხზულება, აკაკი შანიძის შეფასებით, მცირე, მაგრამ მეტად საყურადღებო ორიგინალური საენათმეცნიერო ნაწარმოებია, რომელიც XI საუკუნეში შექმნილა და ჩვენამდე მოუღწევია. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ წიგნს ბატონი აკაკის წინასიტყვაობა უძღვის წინ და ამ წინასიტყვაობას აწერია თარიღი — „16 იანვარი“. ე.ი. სწორედ მზექალას დაბადების დღეს დაუწერია ბატონ აკაკის ეს წერილი. თავად მზექალა კი წიგნს მეუღლის — რიჩარდ ამირეჯიბის ხსოვნას უძღვნის“, — განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ და, გამოსვლის დასასრულს, თხოვნით მიმართა ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს, ყურადღება მიაქციოს აკაკი შანიძის შრომების გამოცემის პროცესს, რომელიც შეჩერებულია. „არ მოხდეს ისე, რომ ბატონი აკაკის შრომების გამოცემა მზექალას ჩაურევლად დასრულდეს. მის გარეშე ეს საქმე ძალიან ძნელი და რთული იქნება“, — განაცხადა მან.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ავთანდილ არაბულმა ქალბატონი მზექალას სტუდენტობის წლები გაიხსენა და შეეცადა გაექარწყლებინა მითი მზექალა შანიძის სიმკაცრის შესახებ. „ჩემი აზრით და დაკვირვებით, ქალბატონი მზექალა იმდროინდელი უნივერსიტეტის აკადემიურ და მორალურ სახეს განსაზღვრავდა. ეს ყველამ იცის საქართველოშიც და მსოფლიო სამეცნიერო წრეებშიც. ეს იცოდნენ იმ სტუდენტებმაც, რომლებსაც მუდამ ახსოვდათ, რომ ქალბატონ მზექალასთან ვერ ჩააბარებდნენ გამოცდას, თუ საგანი არ ეცოდინებოდათ. არ მახსოვს უნივერსიტეტში ლექტორი, რომლის სიმკაცრეზეც ამდენი ხმები გავრცელებულა. ამას გარკვეული საფუძველი ჰქონდა — ის ცოდნის უმკაცრესი შემმოწმებელი იყო, ამიტომაც ბევრ რამეს აბრალებდნენ... მაგრამ კარგად მახსოვს, როდესაც პირველი შევედი მის გამოცდაზე და მან, როგორც კი ჩემი მეცადინეობის შედეგი დაინახა, დაუნანებლად დამიწერა უმაღლესი შეფასება. კიდევ ერთი მითი მინდა გავაქარწყლო, რომელიც მისაღები გამოცდების შემდეგ ვრცელდებოდა... მასთან ერთად ვყოფილვარ კომისიაში და უნდა ვთქვა, რომ ქალბატონი მზექალა, ჩემთან შედარებით, ლიბერალი გამომცდელი გახლდათ“, — განაცხადა ავთანდილ არაბულმა.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელიც, მზექალა შანიძესთან ერთად, უნივერსიტეტისთვის ძვირფასი სახელია, მის სამეცნიერო თვისებებს გაუსვა ხაზი და გაიხსენა მზექალა შანიძის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. „ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დიდ შრომას, რომელიც მზექალამ გასწია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული საისტორიო წყაროს გამოცემისა და რუსულად თარგმნის საქმეში. უნდა ვთქვა, რომ ის, რაც მან გააკეთა, არის სანიმუშო ყველა იმ მეცნიერისთვის, ვინც შემდეგში ამ მიმართულებით მუშაობას დააპირებს. მეც მაქვს გამოცემული და თარგმნილი „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ორი თავი, მაგრამ გულწრფელად გეტყვით — ეს რომ ახლა გამეკეთებინა, აუცილებლად მზექალას მიერ დაფუძნებულ შესანიშნავ მეთოდს გამოვიყენებდი“, — განაცხადა ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ და იქვე დარბაზს ღიმილით შეახსენა მზექალა შანიძის სიმკაცრის შესახებ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს იგი გამოცდაზე მისულ სტუდენტებს ეუბნებოდა: „ქართულში 5-იანი მამაჩემს ეკუთვნის, 4-იანი მე და 3-იანი შენო“, რასაც ქალბატონი მზექალას მყისიერი რეაქცია მოჰყვა — „ასეთი რამ არასოდეს მითქვამსო“... თუმცა დარბაზს ღიმილმა მაინც გადაუარა — ეს გამოთქმა ყველა იქ მსხდომისთვის ნაცნობი იყო, მაგრამ ისიც ბევრმა იცოდა, რომ ეს ფრაზა იმ სტუდენტებმა შეთხზეს, ვისაც საკუთარი ცოდნის იმედი არ ჰქონდათ.

ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ ათწლეულების მეგობარსა და კოლეგას იუბილე მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს სახელით. მანვე ქალბატონ მზექალას საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის ქალთა საბჭოს მიერ დაწესებული მედალი გადასცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ მზექალა შანიძის მეცნიერულ კოლეგიალობას გაუსვა ხაზი და გაიხსენა წლები, როცა მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს, მზექალა შანიძემ დახმარების ხელი გაუწოდა. „ბატონ კორნელი კეკელიძესთან ვამუშავებდი თემას, რომელიც ფსალმუნების ინტონაციურ თავისებურებებს შეეხებოდა. მაშინ დღის წესრიგში ფსალმუნთა ტექსტის პრობლემა იდგა და ქალბატონი მზექალა სწორედ ამ ტექსტების გამოცემაზე მუშაობდა. მან მომცა უფლება, მის მიერ დადგენილი ტექსტებით მესარგებლა. როცა ნაშრომი ბატონ კორნელი კეკელიძეს ვაჩვენე, მკითხა – ფსალმუნთა ინტონაციებზე რომ საუბრობ, დარწმუნებული ხარ, რომ ეს ტექსტი ფსალმუნებში ზუსტად ასე წერიაო? როცა ვუთხარი, რომ ეს მზექალა შანიძის დადგენილი ტექსტი იყო, იმდენად ენდობოდა მას, რომ შენიშვნა აღარ მოუცია.

საზოგადოებამ იცის, რომ უნივერსიტეტში არსებობს ქართველოლოგიური სკოლა, სადაც ქართული კულტურითა და ენით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებს ვასწავლით. რამდენიმე პიროვნებასთან ერთად, ქალბატონი მზექალა შეუცვლელია ამ სკოლაში. უცხოელ სტუდენტებზე მასთან შეხვედრაც კი უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალბატონო მზექალა, არ გაგიკვირდეთ და, წელსაც მოვალ თქვენთან ანალოგიური წინადადებით და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ მოხიბლავთ უცხოელ სტუდენტებს“, — მიმართა ელგუჯა ხინთიბიძემ მზექალა შანიძეს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გოგი გოგოლაშვილმა მზექალა შანიძის ღრმად განსწავლულობას გაუსვა ხაზი და გაიხსენა, რომ მისი პრინციპულობის გამო უნივერსიტეტის გაზეთშიც კი დაწერილა წერილი, რომელშიც სტუდენტები სასწავლო პროგრამიდან იმ საგნის ამოღებას ითხოვდნენ, რომელსაც მზექალა შანიძე კითხულობდა.

ცხადია, ერთ წერილში ვერ მოთავსდება საიუბილეო კონფერენციაზე გამომსვლელთა ყველა სიტყვა, თუმცა უნდა ვახსენოთ, რომ ქალბატონი მზექალას დამსახურებაზე ქართული მეცნიერების წინაშე ისაუბრეს თსუ-ის პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა, პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრმა გუჩა კვარაცხელიამ, ხელნაწერთა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ შალვა გლოველმა, პროფესორმა ზაზა ალექსიძემ, მაია რაფავამ, ილიას უნივერსიტეტის თანამშრომელმა ნინო დობორჯგინიძემ, მზექალა შანიძის ყოფილმა სტუდენტმა მარიკა ჯიქიამ და სხვებმა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ დარბაზს გააცნო მზექალა შანიძის იუბილესადმი მიძღვნილი უცხოელ მეცნიერთა მილოცვის წერილები. პროფესორი რეუვენ ენოხი (ისრაელი), თსუ-ის საპატიო დოქტორი ბერნარ უტიე, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი, ქართველოლოგები იოსტ გიპერტი და ოტე ერნერი წერილებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ ქართველოლოგიისა და ქართული მეცნიერების წინაშე მზექალა შანიძის დამსახურებას, რაც ჯერ კიდევ შეუფასებელია.

თავად ქალბატონი მზექალა საკუთარ საიუბილეო საღამოზეც თავმდაბლობდა. მის გამოსვლაში იგრძნობოდა ერთგვარი მორიდება იმ სიტყვების გამო, რაც მისმა კოლეგებმა უძღვნეს: „კი, ვაკეთებდი რაღაცას, მაგრამ 85 წლის გადასახედიდან ვფიქრობ, რომ მეტი შემეძლო გამეკეთებინა... ამ ჩემს სინანულს ერთგვარად ანელებს ის კარგი და კეთილი სიტყვები, რაც დღეს აქ მოვისმინე.

წილად მხვდა ბედნიერება, რომ გავზრდილიყავი იმ გარემოში, რომელშიც საქმე ქართული მეცნიერებისა და საქართველოსთვის კეთდებოდა. მახსოვს ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი წერეთელი და კიდევ ბევრი მეცნიერი, ვინც ჩვენს ოჯახში შემოდიოდა, როგორც მეგობარი და ახლობელი... ამ ხალხის სუნი ახლაც ტრიალებს ჩემი სახლის კედლებში. არ შემრცხვება იმის თქმა, რომ თუ რამ კარგი გამიკეთებია მეცნიერებაში, სწორედ მათი მიმბაძველობით მოვახერხე, რადგან ვცდილობდი — ამ დიდი ადამიანების შუქით განათებულ გზაზე მევლო. ასეთ ასაკში გეგმების დასახვა, ალბათ, აღარ შემეფერება, მაგრამ შევეცდები, ქართული მეცნიერებისთვის კიდევ გავაკეთო რაღაც, რადგან ის დარგი, რომელსაც ვემსახურები, ქართველებისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ქალბატონმა მზექალამ და მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებსა და კოლეგებს.

დარბაზში ქალბატონი მზექალას შვილები და შვილიშვილებიც ისხდნენ. ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორი დედა და ბებიაა ქალბატონი მზექალა, რომელიც, ჩვენდა გასაოცრად, იმ დარბაზში კულინარიის ოსტატად მოიხსენიეს. მისმა ქალიშვილმა ქეთევან ამირეჯიბმაც ზუსტად ის გაიმეორა, რასაც ქალბატონი მზექალას კოლეგები აღიარებდნენ: „ყოველთვის მკაცრი იყო. იმ სტუდენტებზე მეტს გვთხოვდა, ვიზეც ახლა აქ საუბრობდნენ. ჩვენს სახლში ხმამაღალი სიტყვა არასდროს ისმოდა, მაგრამ ჩემი მშობლების დამოკიდებულება უფროს თაობასთან და ერთმანეთთან, ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო. დედა დღესაც ახალგაზრდაა, რადგანაც ყველაფერი აინტერესებს და ყველას უსმენს. იგი პატივს სცემს სხვის აზრს და არასოდეს საუბრობს იმ საკითხზე, რომელშიც მიაჩნია, რომ სხვა უფრო კომპეტენტურია. გაგვზარდა ისე, როგორც მას ზრდიდა აკაკი შანიძე — გვასწავლა პასუხისმგებლობა და საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულება“, — გვითხრა მზექალა შანიძის ქალიშვილმა.

საიუბილეო კონფერენცია იმ იმედით დასრულდა, რომ ქალბატონი მზექალა შანიძე კიდევ ბევრ საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს შესთავაზებს ქართველოლოგიას. სხვა თუ არაფერი, შანიძეების ოჯახში 85 წელი გენეტიკურად ის ასაკია, როცა მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება...

ჯუმბერ ჭუმბურიძის მყუდროების კარავში

ჭავჭავაძის გამზირს ხანდაზმული კაცი მიუყვება. ნელი, დაღლილი ნაბიჯებით მიდის. სახეზე სიმშვიდე აღბეჭდვია, სიმშვიდე — ვალმოხდილ ადამიანს რომ ეხატება ხოლმე. თვალწინ სევდა იღვენთება, მაგრამ ძველებურად გამჭრიახია მისი გამოხედვა. გზა უნივერსიტეტისკენ უძევს, უფრო ზუსტად, ტაძრისაკენ, უნივერსიტეტის ეზოში რომ დგას. დღევანდელ დღეს სახლიდან მეუღლესთან ერთად გამოდიოდა. სიამეს ჰგვრიდა მასთან ერთად ტაძარში შესვლა, სანთლების დანთება. ახლა კი... ეს ორი წელია, შინიდან მეუღლის გარეშე გამოდის, მარტო ანთებს სანთლებს. მის სალოცავებს ერთი სალოცავი შეემატა — მეუღლის სალოცავია ეს. შვილიშვილები აედევნენ, არ უნდოდათ მარტო გაეშვათ... არა ქნა... ასე ურჩევნია, ასე უფრო მეტად შეიგრძნობს ნაღველს, მეუღლის განშორებამ სამარადჟამოდ რომ დაუტოვა. არ სურს მწუხარების მონაწილედ ვინმე გაიხადოს, თუნდაც უახლოესი ადამიანები.

ქუჩაში ხალხმრავლობაა. გამვლელთა ერთი ჯგუფი უღიმის, ესალმება. ზოგს ცნობს, ზოგს — ვერა. ალბათ, მისი ნასტუდენტარები არიან. მათ იციან, რომ ეს კაცი ჯუმბერ ჭუმბურიძეა, ღირსებით აღსავსე პიროვნება, თავისი ქვეყნის ავკარგზე დაფიქრებული მამულიშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, თაობათა კეთილგონიერი აღმზრდელი. მაგრამ მათ არ იციან, რომ ჯუმბერ ჭუმბურიძეს 15 იანვარს — დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. შეიძლება მათ არც ის იციან, რომ 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან, როგორც ლექტორმა, პირველად შეაღო უნივერსიტეტის აუდიტორიის კარი.

ბატონი ჯუმბერი უნივერსიტეტის ეზოში შევიდა. ბაღის გაყოლებაზე ძვირფას საფლავებს ქუდი მოუხადა. ივანე ჯავახიშვილის ძეგლთან შეჩერდა, მის წინაშე თავი დახარა. ერთ ხანს ასე თავდახრილი იდგა. მისი ჭაღარის შუქი შარავანდედად დაადგა წმინდა საფლავს. შემდეგ ქუდმოხდილი ნელა გაჰყვა ქანდაკებათა მწკრივს. აქ განისვენებენ მისი წინამორბედი დიდებული მეცნიერები, მისი პედაგოგები, უფროსი კოლეგები, ის ადამიანები, რომლებმაც დააარსეს ეს უნივერსიტეტი, შექმნეს და სახელი გაუთქვეს ქართულ მეცნიერებას, რომლებმაც აღზარდეს განათლებული ახალგაზრდა თაობები და ასე ღვაწლმოსილი დაემშვიდობნენ თავის ქვეყანას. აქ მოსვლა ყოველთვის ნაღველს უმძაფრებს ბატონ ჯუმბერს, მაგრამ იმასაც გრძნობს, როგორ ევსება გული სიამაყის გრძნობით.

ბატონი ჯუმბერი ტაძარში შევიდა, სანთლები დაანთო, ილოცა. ტაძრიდან გამოსული, იქვე, ბაღში მერხზე ჩამოჯდა და უნივერსიტეტის შენობას მიაპყრო მზერა.

„რა ბედნიერებაა ამ ქათქათა შენობის ცქერა და თუ არსთა გამრიგემ ხანგრძლივი ცქერის საშუალება მოგცა, მრავალგზის ბედნიერი ხარ მაშინ“, — გაივლო გულში და ლექსად თქმული დიდი ხნის ნაფიქრალი გაახსენდა:

წლები მომერია,
უკვე დროა, წადი!
ნეტავ, რომელია
ბოლო წელიწადი?

ეს სტრიქონები ხმამაღლა, ძლივს-გასაგონად წარმოთქვა და ნაღვლიანად გაეღიმა. ახალგაზრდობიდან ერთი ჩვევა დაჰყვა: მართალია, მუზების მარადიულ საუფლოში არ უცხოვრია, მაგრამ განსაკუთრებულად სანუკვარ სურვილს თუ ოცნებას პოეტური სტრიქონებით გამოთქვამდა ხოლმე. გაახსენდა ის ლექსიც, ჭაბუკურ ორომტრიალში სასურველ ქალიშვილს რომ უძღვნა, რომელმაც შემდეგ მისი ოჯახი გაამზიანა:

სულს რომ წეწავს,
საქართველოს ქარებია,
დამილეწა მყუდროების კარავი.
მე ამ ქვეყნად ბევრი ვინმე მყვარებია,
შენსავით კი, თვალისჩინო არავინ.

ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ ბუნებრივად ჟღერს „ბოლოთქმა“, ბატონმა ჯუმბერმა ახლახან გამოცემულ ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს რომ დაურთო და, ფაქტობრივად, თავისი მარადიული საზრუნავი ერთხელ კიდევ ნათლად გაამჟღავნა.

მე კარგად ვუწყი
ჩემი ერის ნაკლიც, ღირსებაც,
და თუ ოდესმე ამაღლება
მას ეღირსება,
თუ ეღირსება სიკეთის და
რწმენის ზეობა,
თუკი ნათელით შეიცვლება
ეს უმზეობა,
თუკი აღდგება დამარხული
ერის ზნეობა,
მაშინ, იცოდეთ,
არც სიკვდილი იქნება ძნელი,
ნათელში მყოფი,
ჩემს აღსასრულს სიმშვიდით ველი!

საქართველოს ყველა კუთხეში მძვინვარებდა ქვეყნის პატრიოტების დევნის, თვალთვალის, დასმენების ამაზრზენი წლები. უზნეობის ამ წლებში მოუწია ბატონ ჯუმბერს საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლამ, შემდეგ კი უნივერსიტეტში მუშაობამ. მაგრამ სულის სიმტკიცემ იხსნა, როგორც ამბობს ხოლმე — „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. მართლაც არ შეეკრა, მთელი ცხოვრება ბიბლიური დევნილივით აღქმული ქვეყნისაკენ იარა.

ნათქვამია მოგონება წარსულის ხილვაო. ბევრი აქვს მოსაგონარი და სახილველი ბატონ ჯუმბერს.

თავდაპირველად ქუთაისი გაიხსენა. იქ აიდგა ფეხი, იქ გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები, მაგრამ არც ბავშვობა იყო ისეთი, ჩვეულებრივად ბავშვებს რომ უნდა ჰქონდეთ და არც ჭაბუკობა. 16 წლის იყო, საშინელი რეპრესიები რომ დაიწყო, დაჭერები, დახვრეტები, გადასახლებები... მამა — ნიკოლოზ ჭუმბურიძე, იურისტი იყო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მაშასადამე განსხვავებულად მოაზროვნე კაცი. ისიც დაიჭირეს. მართალია, ერთ ხანს გამოუშვეს, მაგრამ იმ წლებში გათავისუფლებულებს ისევ იჭერდნენ, ან ხვრეტდნენ, ან ასახლებდნენ. ამიტომ იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. ქართველ კაცს გაუჭირდა სამშობლოდან მოწყვეტილად ცხოვრება და, ჯერაც ისევ ახალგაზრდა, გარდაიცვალა. მისი საფლავი ლევილშია, რომლის ნახვას ვერა და ვერ ეღირსა მამის განსასვენებელს მონატრებული შვილი.

დედა — მარიამ ჩხეიძე პედაგოგი იყო, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1924 წელს, სახალხო აჯანყების დროს, ისიც დააპატიმრეს, მაგრამ რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს და მოგვიანებით ოჯახს დაუბრუნდა.

ბატონი ჯუმბერის მეუღლეს, ბავშვთა ნევროპათოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელს, გამოჩენილ ექიმს, ქალბატონ ლილი ჟღენტსაც ბევრი ცრემლი ერგო წილად იმ ავადსახსენებელ წლებში. მისი მამა — გრიგოლ ჟღენტი, პროფესიით იურისტი, ეროვნული საქმიანობისათვის 1937 წელს დახვრიტეს, ბიძა — კვიროს ჟღენტი კი ემიგრაციაში გარდაიცვალა და ისიც ლევილში განისვენებს. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეები გამოიარა ქალბატონი ლილის ოჯახმაც.

საქართველოს ყველა კუთხეში მძვინვარებდა ქვეყნის პატრიოტების დევნის, თვალთვალის, დასმენების ამაზრზენი წლები. უზნეობის ამ წლებში მოუწია ბატონ ჯუმბერს საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლამ, შემდეგ კი უნივერსიტეტში მუშაობამ. ბევრი შეურიგდა არსებულ სინამდვილეს, მეტიც, თავის საკეთილდღეოდ გამოიყენა შექმნილი ვითარება, ნაწილი კი გაუტეხელი დარჩა, ბოლომდე შეინარჩუნა პიროვნული ღირსება, შინაგანი თავისუფლება, ქვეყნისადმი სამსახურის უანგარო გრძნობა. ამას კი დიდი სულიერი სიმშვიდე სჭირდებოდა. როცა გუნებაში ეს წლები ამოიმართება, ბატონ ჯუმბერს ერთი კინოფილმი აგონდება: ბაგირზე მიჯრით დაკიდებული ვეება ლოდები სწრაფად ქანაობენ, ერთმანეთს ეხლებიან და გრუხუნი გაუდით. ვაჟკაცობის გამოცდაა მათ შორის გავლა, რაც დიდ გამბედაობასა და ნებისყოფის მოკრებას მოითხოვს. თუ ლოდებს ვერ დაუსხლტი, გარდაუვალი სიკვდილი გელის. ამ ჯოჯოხეთს ის გააღწევს და სამშვიდობოს გავა, ვისაც სულის სიმტკიცე აღმოაჩნდება. აი, ასეთი ჯოჯოხეთის გავლა მოუხდა ბატონ ჯუმბერს, მაგრამ სულის სიმტკიცემ იხსნა, როგორც ამბობს ხოლმე — „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. მართლაც არ შეეკრა, მთელი ცხოვრება ბიბლიური დევნილივით აღქმული ქვეყნისაკენ იარა. აი, ამ გზაზე — ათასგვარი სიბილწით ჩახერგილ გზაზე ზიდა ღირსების ტვირთი. ბევრი ხიფათი შეხვდა, ბევრი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ნატამალი მწიკვლისა არ გაკარებია, ნაბიჯი არ შეშლია, ფეხი არ დასცდენია, წამითაც არ შეყოვნებულა. ბატონმა ჯუმბერმა ათასგვარი სიბილწით ჩახერგილ გზაზე ზიდა ღირსების ტვირთი.

სამოღვაწეოდ ჰუმანიტარული სფერო აირჩია, რა მხრივაც განსაკუთრებით დიდი იყო იდეოლოგიური წნეხი, მაგრამ ქვეყნის დამაქცევარ კანონებს არასოდეს დამორჩილებია. როგორც შეეძლო, ცდილობდა თავისი ნაშრომებით ეროვნული ცნობიერება დაემკვიდრებინა და ამით ეშველა სამშობლოსათვის. აი ამ პათოსითაა განმსჭვალული მისი კვლევითი ხასიათის ნაშრომები, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, მისი საუბრები, ინტერვიუები, რომლებიც სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემა. ბატონი ჯუმბერის წიგნები: „ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ისტორიიდან“, „მწერლები და კრიტიკოსები“, „ქართული პროზის ისტორიიდან“, „ქართული კრიტიკის ისტორია“, „მწერლები და კრიტიკოსები“, „ქართული პროზის ისტორიიდან“, „მეცხრამეტე საუკუნე ლიტერატურული ნარკვევები“, „ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, თარგმანები“ მის მრავალმხრივ მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მეტყველებენ. განსაკუთრებით დიდია ბატონი ჯუმბერის როლი ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის, ლიტერატურული კრიტიკის კვლევისა და შესწავლის საქმეში. ღრმა ერუდიცია, მეცნიერული კეთილსინდისიერება და, რაც მთავარია, მამულიშვილური თავდადება გამოსჭვივის ამ წიგნებიდან. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ისინი ჩვენი ეროვნული მეცნიერების, ჩვენი კულტურის კუთვნილებაა.

ბატონი ჯუმბერის ბოლო წიგნში, რომლის რედაქტორობაც მე მომიწია, ლიტერატურულ-კრიტიკული მასალის კვალდაკვალ დაბეჭდილია პუბლიცისტური წერილები, რომელიც მოიცავს 1998-2006 წლებს. ეს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში, თუმცა, რომელი პერიოდი არ არის ურთულესი?! კითხულობ ერთად თავმოყრილ ამ წერილებს, ინტერვიუებს, საუბრებს და თქვენ თვალწინ მთელი სისრულით მოიმართება ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანი. უკლებლივ ყველა წერილი, ყველა სიტყვა დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგია, ყველა მათგანი თემიდის სასწორზეა აწონილი. მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხება ისინი: ეროვნულ მოძრაობას, 9 აპრილის მოვლენებს, კონსტიტუციის შექმნის აუცილებლობას, უზენაესი საბჭოს არჩევნებს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებსა და მრავალ სხვას.

როცა გონებაში მრავალ თავსატეხ საკითხზე ფიქრები შემოესევა ხოლმე, ბატონ ჯუმბერს მუხრან მაჭავარიანის ლექსი გაახსენდება, თითქოს თვითონ დგას ამ სტრიქონების მიღმა, თითქოს მის სათქმელს ამბობს ეს ორი სტროფი:

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: —
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს!

რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, —
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად —
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

... ცრიატი დღე იწურებოდა. ნაძვის ხის წვერებიდან მზის უღონო სხივები ძლივს შესამჩნევად ნელ-ნელა იკრიფებოდა. უნივერსიტეტის შენობას ბინდი უახლოვდებოდა. შეიძლება გაწვიმებულიყო კიდეც, მაგრამ წასვლას არ ჩქარობდა. გონებას მამულზე ფიქრი უფორიაქებდა, რასაც დასასრული არ ჰქონდა...

მამუკა ჭანტურაია

წლის მოაზროვნე უნივერსიტეტის წიაღში

თსუ-ის სრული პროფესორი, ისტორიკოსი და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე თემურ პაპასქირი, გარდა იმისა, რომ სტუდენტების საყვარელ ლექტორად არის აღიარებული, პოპულარული სატელევიზიო პროექტის — ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ აქტიური მონაწილეა. იმ ფაქტმა, რომ იგი 2010 წლის ზამთრის სეზონის საუკეთესო მოაზროვნის ტიტულის მფლობელად აღიარეს და კლუბის მიერ დაწესებული მაღალი ჯილდო — „ბროლის ბუ“ გადასცეს, კიდევ უფრო მეტად გაგვიჩინა თემურ პაპასქირის განსაკუთრებულ მონაცემთა წვდომის სურვილი. ალბათ, პროფესიით ისტორიკოსი მამის გავლენამაც იმოქმედა 4 წლის თეიმურაზზე, როცა იგი სწორედ ამ ასაკში სერიოზულად ჩაღრმავებია ისტორიულ ლიტერატურას და მაშინვე განუსაზღვრავს, რომ თავადაც ისტორიკოსი გამხდარიყო. ყველას გასაოცრად, ისტორიკოსი მამის მიერ სტუდენტების მისამართით დასმულ შეკითხვებს პირველი პასუხობდა, თქვენ წარმოიდგინეთ 5 წლის ასაკშიც კი... თამაშისას ნასწავლი თარიღებისა და მოვლენების ორომტრიალში, ნელ-ნელა გამოიკვეთა მისი სიყვარული თავისი ქვეყნის ისტორიის მიმართ... ყველაზე მეტად ქართველთა გმირობის ამბები მოსწონდა, განსაკუთრებით, დავითის და თამარის დროის ეპოქა... ფენომენალური ნიჭით დაჯილდოვებულმა ბავშვმა ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიც“ თურმე 4 წლის ასაკში წაიკითხა... ამის დასადასტურებლად სარწმუნო წყაროდ თავად თემურ პაპასქირი გვევლინება, რომელსაც ჩავეკითხეთ, ყური ხომ არ გვატყუებდა რაიმეს, როცა მისი ბავშვობის ადრეულ ასაკშივე ისტორიით ასე სერიოზულად გატაცებაზე მოგვითხრო. იგი 23 წლის ასაკში მსოფლიო ისტორიის მიმართულებაზე ყველაზე ახალგაზრდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატიც გახდა. სწორედ ამ მონაცემთა კვალობაზე დავინტერესდით მისი მდიდარი ბიოგრაფიით 4 წლიდან მოყოლებული დღემდე, რომელსაც ისტორიის შესწავლის დაუოკებელმა სურვილმა, თურმე, ბავშვობაც კი დაავიწყა. ასე რომ, ჩვენი რუბრიკის სტუმარია, თემურ პაპასქირი, რომელიც, ასე ვთქვათ, „აღმოვაჩინეთ“.

„გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“

პასუხების გაცემა არ უჭირს, მაგრამ არის თემები, რომელიც მისთვის მტკივნეულია, როგორც სოხუმის ყოფილი მკვიდრისთვის, რომელიც მოსკოვში დაბადებულა. მამა — ზურაბ პაპასქირი, ცნობილი ისტორიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, იმ პერიოდში მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა. როგორც თავად იხსენებს, ოჯახი სოხუმში 1976 წლის ზაფხულში დასახლდა, სადაც მთელი ბავშვობა გაატარა. დედა — ნონა ბენდელიანი სპეციალობით ბავშვთა ექიმი იყო და მთელი ყურადღება ბავშვების აღზრდაზე ჰქონდა გადატანილი. სკოლაც სოხუმში დაამთავრა... შემდეგ არჩევანზე დიდხანს არ უფიქრია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე, ისტორიის სპეციალობაზე ჩაირიცხა. „სოხუმში მხოლოდ პირველი კურსი დავხურე, რადგანაც ომი დაიწყო და სწავლა 1993 წლამდე შეწყდა. შემიძლია ვთქვა, რომ სტუდენტობა პრაქტიკულად არც მქონია, ვინაიდან ჩემი სტუდენტობა დაემთხვა 1991-1996 წლებს. თუ რა იყო სტუდენტობა, მე რეალურად გავიგე მას შემდეგ, რაც ლექტორი გავხდი. ამასთან, ომის დასრულების შემდეგ მამაჩემი ტყვედ აღმოჩნდა და 100 დღე ტყვეობაში გაატარა. მისი განთავისუფლების საკითხი უმაღლეს დონეზე წყდებოდა და ამაში დიდი როლი ქართველ ისტორიკოსთა თანადგომამ ითამაშა“, — იხსენებს თემურ პაპასქირი, რომლის გვარი წმინდა ქართულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მღვდლის შვილს“ („პაპა“ მეგრულში აღნიშნავს მღვდელს, „სქირი“ კი არის „სქუას“ ძველი ფორმა), ანუ, დაახლოებით, იგივე ეტიმოლოგიისაა, როგორც ხუციშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის პაპასქირების საკმაოდ დიდი ნაწილი (თუ უმრავლესობა არა) თავის გვარს წერს ფორმით „პაპასკირი“, რაც რუსული გავლენის შედეგია.

ის ურჩევნია მამულსა...

„1993 წლიდან სოხუმის ფილიალმა უკვე თბილისში განაგრძო ფუნქციონირება. 1994 წლიდან, მამაჩემის გათავისუფლების შემდეგ, ჩვენც თბილისში აღმოვჩნდით. ამ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვესწრებოდი ჩემთვის საინტერესო ლექციებს, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორიას, რომელსაც პროფესორი გივი ჟორდანია კითხულობდა და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლეს ისტორიას პროფესორ გივი ბოლოთაშვილთან. სწორედ ამ პერიოდში მივიღე გადაწყვეტილება, თუ რა მიმართულებით გავაგრძელებდი ჩემს შემდგომ საქმიანობას და ავირჩიე ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია. მართალია, მამაჩემმა ჩემი გადარწმუნება სცადა, მაგრამ შეუვალი ვიყავი და პირდაპირ ვუთხარი, რომ საქართველოს ისტორიის არჩევის შემთხვევაში, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ჩემს წარმატებებს მაინც მის სახელს მიაწერდნენ. სწორედ ამიტომ ჩემი არჩევანი შეჩერდა მსოფლიო ისტორიის ისეთ პერიოდზე, რომელიც მამაჩემმა ყველაზე ნაკლებად იცოდა და, შესაბამისად, ვერანაირად მოახერხებდა ჩემს „დახმარებას“. IV კურსზე კი საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ სადიპლომო ნაშრომს დავწერდი მეორე მსოფლიო ომზე, კერძოდ კი, ინგლისისა და აშშ-ის მონაწილეობაზე გერმანიის წინააღმდეგ ომში 1941-1945 წლებში. იმ დროისათვის ეს იყო აბსოლუტურად შეუსწავლელი საკითხი საქართველოში და ამ თემით ჩემი დაინტერესებაც ამან განაპირობა. სადიპლომო ნაშრომი საკმაოდ ვრცელი (160 გვერდი) გამომივიდა და მან სახელმწიფო კომისიის დიდი მოწონებაც დაიმსახურა. იმავე წელს დავბეჭდე ეს ნაშრომი მონოგრაფიის სახით, რომლის სათაური გახლდათ — „სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ“, — ასე იხსენებს თავის დამოუკიდებელ ნაბიჯებს ისტორიაში მამის „ურჩი“ შვილი.

„რა? სად? როდის?“ მოასწრო ამდენი...

— თქვენ საუბარში ახსენეთ, რომ კითხვა ადრეულ ასაკში დაიწყეთ და პირველი წიგნი, რომელიც 4 წლის ასაკში წაიკითხეთ, ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ იყო. სიმართლე გითხრათ, ეს ძნელი წარმოსადგენია...

— ისტორიკოსობა ყოველთვის მიზიდავდა. 1976-1982 წლებში, როცა ჩვენ სოხუმში, ერთოთახიან, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით, მუდამ თვალყურს ვადევნებდი, თუ როგორ ამეცადინებდა მამაჩემი აბიტურიენტებს. თავდაპირველად დიდი ყურადღებით ვუსმენდი ხოლმე მათ, შემდეგ კი შეცდომების გასწორებაც დავიწყე (ამ პროცესს მამაჩემიც აქტიურად უწყობდა ხოლმე ხელს) და უკვე 5 წლისამ საქართველოს ისტორია ძალიან კარგად ვიცოდი. გადაწყვეტილებაც მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით, დაახლოებით, ამ პერიოდში მივიღე და არც არასდროს შემიცვლია. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ კითხვა საკმაოდ ადრეულ ასაკში, 4 წლისამ ვისწავლე და თავიდანვე ისტორიულ ლიტერატურას ჩავუჯექი. ჩემი პირველი წაკითხული წიგნი ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ იყო.

— 5 წლის ასაკშივე მომავალი პროფესიის განსაზღვრა, ალბათ, მიზანდასახულობასაც გძენდათ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც ისტორიკოსმა, სამეცნიერო მოღვაწეობაც ადრეულ ასაკში დაიწყეთ. რომელმა ნაშრომებმა მიიქცია სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება?

— თსუ-ის სოხუმის ფილიალის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე. ასპირანტურა დროზე ადრე, 1998 წელს დავამთავრე. უნდა ითქვას, რომ თავადაც არ ველოდი წელიწადნახევარში ასპირანტურის დასრულებას, მაგრამ, როდესაც ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ კოტე ანთაძეს წარვუდგინე საკვალიფიკაციო ნაშრომის პირველი ვარიანტი — „მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943)“, მან ჩათვალა, რომ დისერტაცია შემდგომ დახვეწას პრაქტიკულად არ საჭიროებდა და რომ ეს ნაშრომი მზად იყო დაცვაზე წარსადგენად. სადისერტაციო საბჭომაც ერთხმად დაამტკიცა ჩემი ნაშრომი და 23 წლის ასაკში გავხდი ისტორიის მეცნიერებათა ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატი მსოფლიო ისტორიის მიმართულებით. დღეისათვის 4 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოსა და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი ვარ. ჩემი პირველი მონოგრაფია სადიპლომო ნაშრომი იყო. მეორე მონოგრაფია — „მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943 წწ.)“ წარმოადგენს ჩემს საკანდიდატო დისერტაციას. მესამე მონოგრაფია — „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე (1944 წ. სექტემბერი – 1945 წ. მაისი)“ ეხება ანტიჰიტლერული კოალიციის დიპლომატიურ ურთიერთობებს გერმანიის წინააღმდეგ ომის ბოლო პერიოდში. შარშან კი გამოვიდა ჩემი კიდევ ერთი ნაშრომი — „დიდი სამეულის“ კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოტსდამი)“, რომელშიც განხილულია „დიდი სამეულის“ სამივე კონფერენციის მიმდინარეობა და შეფასებულია იქ მიღებული გადაწყვეტილებები. უნდა ითქვას, რომ მასში, პირველად ისტორიოგრაფიაში (მსოფლიო მასშტაბით), შედარებული და შეჯერებულია კონფერენციების ამერიკული და რუსული ჩანაწერები. ეს მონოგრაფია შესრულდა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის გრანტის ფარგლებში, რომელიც 2009 წელს მოვიპოვე. გარდა ამისა, 2009 წელს გამოვიდა ჩემი სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის (ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945 წწ. ნაკვ. I), რომელმაც უმალ ჰპოვა აღიარება და რომელიც დღეისთვის, თსუ-ის გარდა, საქართველოს საკმაოდ ბევრ უნივერსიტეტში გამოიყენება.

მასალებს ჩემი ახალი მონოგრაფიისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას ვაგროვებდი, სადაც 9 თვე დავყავი და საკმაოდ დიდ მასალასაც მოვუყარე თავი. ჩემი მარშრუტი, იმ პერიოდში, პრაქტიკულად ყოველთვის, კვირა დღის გარდა (კვირაობით ბიბლიოთეკა დაკეტილია) ასეთი იყო: სახლი — ბიბლიოთეკა — სახლი. გარდა ამისა, ამერიკაში ყოფნა ჩემთვის სხვა მხრივაც გამოდგა ნაყოფიერი: ვცხოვრობდი ნათესავთან, რომლის მეუღლე პროგრამისტია და მისი დახმარებით კარგად შევისწავლე სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც შემდგომში ძალიან გამომადგა.

— თქვენი აზრით, რა ღირსებების გამო გთვლიან გამორჩეულ ლექტორად სტუდენტები?

— ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1998 წელს, როდესაც თსუ-ის სოხუმის ფილიალის მსოფლიო ისტორიის კათედრის მასწავლებელი გავხდი. 2006 წლამდე სოხუმის ფილიალში ვმუშაობდი, ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად, 2005 წელს კი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელიც გავხდი. გარდა ამისა, 2004-2006 წლებში ვიყავი ვისკონსინის უნივერსიტეტის — ოკლერი მოწვეული პროფესორი, სადაც 2005-2006 წლებში, ორი სემესტრის მანძილზე, ვკითხულობდი მეორე მსოფლიო ომის ისტორიას.

2003 წელს გავიმარჯვე ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ გამოცხადებულ ლექტორების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, 2004-2006 წლებში, სამი სემესტრი გავატარე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ვისკონსინის უნივერსიტეტში — ოკლერი. თუ 2004 წელს მხოლოდ ამერიკელ პროფესორთა მეთოდებზე დაკვირვება მევალებოდა, უკვე 2005-2006 წლებში ვასწავლიდი მეორე მსოფლიო ომის ისტორიას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიხედვით ლექციების კურსის წაკითხვა სულაც არ წარმოადგენდა ვალდებულებას და ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მთლიანად ვისკონსინის უნივერსიტეტის — ოკლერი ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პრეროგატივა იყო. საკმარისია ითქვას, რომ 2003 წლის პროგრამის გამარჯვებული 13 მონაწილედან ლექციების კურსი მხოლოდ მე წავიკითხე.

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი კი 2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის შემდეგ გავხდი. 2008 წლიდან გახლავართ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2009 წლიდან კი თსუ-ის სრული პროფესორი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განხრით.

— თვლით თუ არა, რომ ისტორიკოსი, გარკვეულწილად, პოლიტიკოსიც არის და, აქედან გამომდინარე, შემდგომში ხომ არ გეგმავთ პოლიტიკაშიც მოსინჯოთ თქვენი შესაძლებლობები?

— ნამდვილად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ისტორიკოსი, გარკვეულწილად, პოლიტიკოსიც არის. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისტორიის ინტერესის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს სწორედ წარსულში მომხდარი პოლიტიკური მოვლენები წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მიჯნა ისტორიასა და პოლიტიკას შორის, ხშირ შემთხვევაში, მეტად პირობითია. ისტორიის შესწავლის უმთავრეს მიზანს ხომ სწორედ ის წარმოადგენს, რომ წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით მოხდეს აწმყოში მიმდინარე პროცესების მართვა. შესაბამისად, უახლესი ისტორიის სპეციალისტები, მოვლენების შეფასებისას, იმავდროულად, ექსპერტულ ხედვასაც წარმოადგენენ. რაც შეეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს კარგი ისტორიკოსი, ვიტყვი, რომ, პირველ რიგში, ისტორიკოსი არ უნდა იყოს ტენდენციური. დანარჩენი კი უკვე დამოკიდებულია მისი კვლევისა და ანალიზის უნარზე, რომელიც ყველას ინდივიდუალური აქვს.

არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მეც მოვსინჯო ჩემი შესაძლებლობები პოლიტიკაში, მით უმეტეს, რომ, ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება გამაჩნია კიდეც. 2003 წელს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ვიყავი საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით და მოვიაზრებოდი ბლოკის „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ პარტიული სიის კანდიდატად 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებშიც, თუმცა იმ პერიოდში ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლექტორების პროგრამით და ვერ მოვახერხებდი საქართველოში ჩამოსვლას პირველი სხდომისთვის. ამიტომაც ჩემი კანდიდატურა სიიდან ამოიღეს.

მე-12 გვერდზე

საკმარისი დაფინანსებით მიღწეული შთამბეჭდავი შედეგი

სტუდენტობა, სწავლასთან ერთად, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვასაც ითვალისწინებს. სტუდენტური თვითმმართველობა კი ის რგოლია, რომელიც ახალგაზრდებს შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენაში ხელს უწყობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, მრავალრიცხოვანი და სტრუქტურულად გამართული ახალგაზრდული ორგანიზაციაა. მისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე, სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზებას და სტუდენტთა მივლინებებს მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვისა და ახალგაზრდობის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის პროცესებში, სტუდენტურ ფორუმებზე ხშირად ისმის კითხვა, რას ხმარდება თვითმმართველობის ძალისხმევა და რა მიმართულებით იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები? გარკვეულწილად, ამ კითხვებზე გამოხმაურებაც იყო 12 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მმართველობითი ორგანოების წინაშე წარდგენილი ანგარიში.

მაია ტორაძე

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ დაწვრილებით წარმოადგინა ყველა იმ ღონისძიების შინაარსობრივი და ფინანსური აღწერილობა, რომელიც მესამე მოწვევის თვითმმართველობამ არჩევიდან — 2010 წლის 18 მაისიდან დღემდე გამართა.

დაჩი გუბაძის თქმით, საერთო მონაცემებით, 2010 წლის ზაფხული-შემოდგომის პერიოდში თვითმმართველობამ ჩაატარა 87 ღონისძიება, რომელშიც, დაახლოებით, 37 389 სტუდენტი მონაწილეობდა. ამასთან ერთად, თვითმმართველობამ 112 სტუდენტური მივლინება დააფინანსა.

პრეზენტაციაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა რამდენიმე სტუდენტური ღონისძიება:

2010 წლის 2-4 აგვისტოს, თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ორგანიზება გაუწია ქალაქ ბათუმში გამართულ ტრადიციული ხელოვნებისა და ფოლკლორის უნივერსიტეტთაშორის სტუდენტურ ფესტივალს „ერის ხმა — 2010“, რომელშიც საქართველოს 16 უმაღლესი სასწავლებელი და 320 სტუდენტი მონაწილეობდა. ღონისძიება, თბილისისა და ბათუმის მერიებთან ერთად, 3 400 ლარით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც დააფინანსა.

მასშტაბურ ღონისძიებათა შორის, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაასახელა მათ მიერ ორგანიზებული პირველკურსელთა დახვედრის ცერემონიალი, რომელიც 20 სექტემბერს „ვარდების მოედანზე“ გაიმართა. უნივერსიტეტის ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად, მასში მონაწილეობა პოპულარულმა ჯგუფმა „მგზავრებმაც“ მიიღო. წარმოდგენილი მაჩვენებლებით, კონცერტს 20 ათასამდე ახალგაზრდა დაესწრო. სულ, ეს ღონისძიება, 11 800 ლარი დაჯდა.

საუნივერსიტეტო ღონისძიებათა შორის, ასევე, მნიშვნელოვანია 22 სექტემბერს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული რეიტინგულ სტუდენტთა საზეიმო მიღება, რომელშიც მონაწილეობდა ფაკულტეტების მიხედვით ყველაზე რეიტინგული 90 პირველკურსელი. ღონისძიების ორგანიზებაზე 3 800 ლარი დაიხარჯა.

გარდა ამ ღონისძიებებისა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მოეწყო ლაშქრობა და 12 ექსკურსია. ექსკურსიებში 5000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა და, მთლიანობაში, დაახლოებით, 74 000 ლარი დაიხარჯა.

მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პერიოდში მისი ორგანიზებით გაიმართა 5 კონცერტი, რომელთაგან გამორჩეულია 7 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრში გამართული საქველმოქმედო საღამო სახელწოდებით „გადავარჩინოთ მოქვის სახარება“. მასში მონაწილეობდნენ მსახიობი მურმან ჯინორია, მომღერლები ზუმბა და ნიაზ დიასამიძე. შემოსული თანხა — 13 000 ლარი მოქვის სახარების რესტავრაციისთვის მთლიანად ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცა.

სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია ესეების კონკურსები, ასევე, პოეზიის საღამოები და შეხვედრები რატი ამაღლობელთან, გივი სიხარულიძესთან, დეფი გოგიბედაშვილთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, ლექსო დორეულთან და მაყვალა გონაშვილთან. პოეზიის საღამოებში, ასევე, მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები. შემოსული თანხით მათ დახმარება გაუწიეს თავიანთ თანატოლ 2 სტუდენტს.

სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს მხიარულთა და საზრიანთა კლუბებს შორის შეჯიბრებებს. 5 ნოემბერს და 28 დეკემბერს გაიმართა საფაკულტეტო შეჯიბრებები, რომელშიც უნივერსიტეტის 6 გუნდი და 48 სტუდენტი მონაწილეობდა. შეხვედრების ორი ტურის მთლიანი ბიუჯეტი 6 200 ლარს მოიცავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის მიერ განეული მუშაობა. განვლილ საანგარიშო პერიოდში ამ დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა სხვადასხვა ხასიათის სემინარების ციკლი. ამ დეპარტამენტის ორგანიზებით, 28-29 ნოემბერს, გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“, რომელშიც უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის 540 სტუდენტი მონაწილეობდა. ღონისძიების ორგანიზება 2 650 ლარი დაჯდა.

ასევე საინტერესოა სტუდენტთა კონფერენციები განათლების დეპარტამენტის ინიციატივით. გასულ 7 თვეში სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტმა და ფაკულტეტების თვითმმართველობებმა გამართეს 4 კონფერენცია თემებზე: „კლინიკური შემთხვევები“ (მედიცინის ფაკულტეტი); „ეკოლოგიური კატასტროფები“ (განათლების დეპარტამენტი), რომელიც მეორედაც ჩატარდა; „სამართლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში“ (განათლების დეპარტამენტი).

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში აღდგა „სტუდენტური დღეების“ მივიწყებული ტრადიცია, რომელიც სტუდენტებს საკუთარი ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობებს აძლევს. საანგარიშო პერიოდში შედგა სტუდენტური კვირეული და მასში 124 სტუდენტი მონაწილეობდა.

საყურადღებოა სპორტის დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობა. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, საანგარიშო პერიოდში 8 სპორტული ღონისძიება გაიმართა, მათ შორის მინიფეხბურთში, ქუჩის კალათბურთში, ჭადრაკში, ბილიარდში, მაგიდის ჩოგბურთში, მკლავჭიდსა და კლდეზე ცოცვაში. წარმოდგენილი მონაცემებით, სულ, ამ ღონისძიებებზე 10 00 ლარამდე დაიხარჯა.

გარდა აქ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, პრეზენტაციაზე აღინიშნა ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული კონკურსები, კონფერენციები და საღამოები.

სტუდენტთა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა წინასაახალწლო წვეულება კლუბ „ტრიუმფში“, რომელმაც 3 000-მდე სტუდენტს უმასპინძლა. ამ ღონისძიებამ, რომელიც თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას 26 700 ლარი დაუჯდა, სტუდენტთა დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა.

პრეზენტაციაზე დაჩი გუბაძემ ისაუბრა სტუდენტთა მივლინებების შესახებ და განაცხადა, რომ ეს საკითხი, ხშირად, სადავო ხდება და საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესს იწვევს.

„რადგანაც მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ არ უნდა ისმოდეს უსაფუძვლო ბრალდებები, გადავწყვიტეთ მასშტაბების გაზრდა და ბოლო 7 თვის განმავლობაში 112 სტუდენტი, ცოდნის გასაღრმავებლად, საზღვარგარეთ მივავლინეთ. აქვე გამოვყოფ ჩვენს თანამშრომლობას ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციაა და სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენ მათთან გავაფორმეთ მემორანდუმი და უზრუნველვყავით 35-კაციანი დელეგაციის ვიზიტი თურქეთში გამართულ საერთაშორისო შეკრებაზე მონაწილეობის მისაღებად. ასეთი მასშტაბური დელეგაციით ევროპის არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა წარმოდგენილი და მივაღწიეთ იმას, რომ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტების შემდეგი შეკრება თბილისში ჩატარდება“, — განაცხადა დაჩი გუბაძემ.

თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახა ლორიამ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს დაჩი გუბაძეს აღნიშნული ანგარიშის სენატის სხდომაზე წარდგენა შესთავაზა, რათა ამომწურავი პასუხი გაეცეს ყველა კითხვას, რაც სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობასა და მის მიერ თანხების ხარჯვას შეეხება.

პრეზენტაცია შეაჯამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც თვითმმართველობის გაწეულ საქმიანობას შთამბეჭდავი უწოდა და განაცხადა, რომ ახალგაზრდების აქტივობა განათლებული და მოტივირებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშანია.

„თავად ვესწრებოდი რამდენიმე ღონისძიებას და გაოცებული დავრჩი მონაწილე სტუდენტთა რაოდენობით. ამით დავამტკიცეთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მხოლოდ სწავლაში როდი არიან საუკეთესონი. განათლება, მეცნიერება, მუსიკა, სპორტი, გართობა სტუდენტური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. სასიხარულოა, რომ ჩვენს სტუდენტურ თვითმმართველობას კოლეგიალური და მეგობრული დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კვლავაც გააგრძელებს მათ მხარდაჭერას“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

დაჩი გუბაძემ გაწეული თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და განაცხადა, რომ 2011 წელს თვითმმართველობის მიზანია ღონისძიებებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის 100 000-მდე გაზრდა. ეს დასტური იქნება იმისა, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ახალგაზრდულ შეკრებებში რამდენჯერმე მიიღებს მონაწილეობას.

მეცნიერების ახალი საზრდო

ბევრმა არც იცის, რომ უნივერსიტეტში საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება არსებობს, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივითა და ორგანიზებით დაფუძნდა და რომელიც ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომებს, ელექტრონული ჟურნალებისა თუ ბეჭდური გამოცემების საშუალებით, პოპულარიზაციას უწევს. თითოეული ნომრის გამოცემისას, ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებას, თურმე, 50-მდე სტუდენტის სტატია მიეწოდება და, მიუხედავად იმისა, რომ ნაწერებს მკაცრი კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ, ხშირად, საუკეთესო ნაშრომის ამორჩევაც კი უჭირთ. ეს პროცედურა იმაზე მეტყველებს, რომ მკვლევარ-სტუდენტთა დიდი ნაწილი მეცნიერებისთვის საყურადღებო ნაშრომებს ქმნის, რაც, შეიძლება, ფართოდ განხილვასაც იმსახურებს.

ნატო ოგოლაძე

გასული წლის მიწურულს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ 2011 წლის გეგმა შეიმუშავა, სადაც ის ძირითადი პრიორიტეტებია მოცემული, რის მიხედვითაც ეს ორგანიზაცია, მიმდინარე წელს, სხვადასხვა პროექტის განხორციელებას აპირებს.

„წელს გვინდა სამეცნიერო ჟურნალებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა. ჩავატარებთ ლექციებს, სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებს სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებისთვის. იგეგმება რამდენიმე საჯარო ლექციის წაკითხვაც. პროექტის — „ორგანოთა ტრანსპლანტაციის სამართლებრივი, სამედიცინო და რელიგიური ასპექტები“ ფარგლებში უკვე ჩატარდა სემინარები და, ახლო მომავალში, ამ თემაზე სამეცნიერო კონფერენციის გამართვასაც ვგეგმავთ. მასში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და სასულიერო პირებიც ჩაერთვებიან.

წელსვე ვგეგმავთ გამოვცეთ ელექტრონული ჟურნალების — „კერძო სამართლის მიმოხილვა“, „კანონიკა“, „სარჩევი“, „სამართალი და ფილოსოფია“, „მეგზური ეკონომიკაში“ ბეჭდური ვერსიებიც. მალე დაიწყება ახალგაზრდა მეცნიერთა მონოგრაფიების გამოცემაც. ამ ჟურნალების ელექტრონული ვერსიები ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ვებ-გვერდზე — sams.ge-ზე არის განთავსებული. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები ამ გამოცემების საშუალებით ქვეყნდება, რითაც მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების შანსი ეძლევათ. ამჟამად, ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, ძირითადად, იურიდიული მიმართულებით მუშაობს, თუმცა სხვა სპეციალობების კუთხითაც ვგეგმავთ გააქტიურებას“, — გვითხრა ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დემეტრე ეგნატაშვილმა.

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში გაწევრიანება მხოლოდ ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და სამეცნიერო სფეროში მოღვაწე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ. კრიტერიუმები, რის მიხედვითაც საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო წევრებს არჩევს, საკმაოდ მკაცრია. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებასთან თანამშრომლობის მსურველებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების საკმაოდ დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ.

„ჩვენ გვინდა ისეთი სფეროები ავითვისოთ, რა მიმართულებით კონცენტრირებაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც ქართული, ასევე, ზოგადად, ევროპული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. სტუდენტების სამეცნიერო მუშაობა, ალბათ, ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, თუმცა ჩვენი სურვილია, რომ მათ შანსი მივცეთ სამეცნიერო კვლევებში მაქსიმალურად ჩაერთონ. აღსანიშნავია, რომ ინტერესი სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მხრიდან ძალიან დიდია,“ — განაცხადა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების პრეზიდენტმა დიმიტრი გეგენავამ.

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება 2009 წლის დეკემბერში დაფუძნდა და იგი პროექტებს დღემდე თვითდაფინანსებით ახორციელებს. ამჟამად, საზოგადოებაში 70-მდე ახალგაზრდაა გაწევრიანებული, რომელთა საწევროს გადასახადი წელიწადში 50 ლარს შეადგენს. როგორც ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დემეტრე ეგნატაშვილმა გვითხრა, დაფინანსების სხვა წყაროების მოსაზიდად ისინი მოლაპარაკებების დაწყებას დონორ ორგანიზაციებთანაც გეგმავენ.

მეცნიერება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

მეხუთე გვერდიდან

ამის შესახებ გიორგი გორაშვილი ასეთ ანალიზს გვთავაზობს: „საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების ხელისუფლების სისუსტის, სოციალური კონტროლის ეფექტურად განხორციელების უუნარობის პირობებში, ორგანიზებულმა დანაშაულობამ ფართო მასშტაბები შეიძინა. მე-20 საუკუნის ბოლოს უმეტეს პოსტსაბჭოურ რესპუბლიკაში თითქმის ერთიანი სურათი გამოიკვეთა – ორგანიზებულმა დანაშაულობამ ხელთ იგდო არა მხოლოდ დიდი სიმდიდრე და გავლენა ახლად აღმოცენებულ საბაზრო ეკონომიკაზე, არამედ შეაღწია ხელისუფლების ყველა შტოში. საქართველოც ორგანიზებული დანაშაულობის სარბიელად იქცა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველივე წლებში.

დიდი გაქანება ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში დანაშაულებრივმა სუბკულტურამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კრიმინალური ჟარგონი, ე.წ. ქურდული ღირებულებები. კრიმინალური სუბკულტურა ყველანაირად ცდილობდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა ქართულ ცნობიერებაში და მან დოგმატის სახე მიიღო. საქართველოში ე.წ. ქურდული სუბკულტურის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს თავად ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდების“ პროცენტული სიმრავლე საბჭოთა კავშირის დროს და მისი რღვევის შემდეგაც. კონკრეტული მონაცემებით, 1995 წლისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კანონიერი ქურდების 33%-ს შეადგენდნენ რუსები, 31%-ს ქართველები, 8%-ს სომხები, 5%-ს აზერბაიჯანელები და 22%-ს სხვა დანარჩენები. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის სიმცირეს, პოსტსაბჭოეთის „კანონიერი ქურდების“ 31% მართლაც უზარმაზარი მაჩვენებელია.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თავდაპირველ ეტაპზე, საკანონმდებლო ბაზის სისუსტემ და მართლმსაჯულების არაეფექტურობამ, საზოგადოებაში დაუცველობის და უსამართლობის განცდის შეგრძნება დაამკვიდრა. აღნიშნული ფაქტორის გამო, დიდი გასაქანი მიეცა ტრეტეულ სასამართლო პროცესებს (ე.წ. ქურდული გარჩევები), სადაც კვაზისამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით ე.წ. ავტორიტეტები „საქმეებს ქურდულად აგვარებდნენ“. ორგანიზებული დანაშაულობა რეალურად სახელმწიფოს შიგნით ქმნიდა „სახელმწიფოს“ თავისი ქცევის ნორმებით, „მართლმსაჯულებით“ და იძულების აპარატით.

საქართველოს სახელმწიფო არჩევანის წინაშე დადგა, მას ან უნდა დაეწყო ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, ან კრიმინოკრატიად გადაქცეულიყო.

2003 წლის შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკა და სასამართლო პრაქტიკა წარმატებული აღმოჩნდა ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გამოვლინების ე.წ. კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი კანონმდებელი შეეცადა გამოეყენებინა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლაში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება და აღნიშნულ მოვლენასთან სისხლის სამართლებრივი ღონისძიებებით დაიწყო ბრძოლა. 2005 წლის 20 დეკემბერს მიიღეს საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ, რომელიც რეკეტიორობისა და ე.წ. „კანონიერი ქურდობის“ წინააღმდეგ კომპლექსურად ბრძოლის პირველი მცდელობა იყო.

აქტიური საკანონმდებლო მუშაობის შედეგად შემუშავებულ ორგანიზებული დანაშაულობის ახალ კრიმინალიზებულ ფორმებს ადრე არც მეცნიერება და არც სასამართლო პრაქტიკა არ იცნობდა. დადგა ერთბაშად შემუშავებული სამართლებრივი ინსტიტუტების, დეფინიციებისა თუ დანაშაულთა შემადგენლობების ღრმა მეცნიერული ანალიზის აუცილებლობა. პროექტის ფარგლებში, ზუსტად ამ მიზნით, დეტალურად იქნა შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, დოქტრინული ნაშრომები, რაც ამ კონფერენციის მსმენელებს მოხსენებების სახით მიეწოდათ,“ — აღნიშნა გიორგი გორაშვილმა.

მოხსენებები კრებულის სახითაც გამოიცემა

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს შორის, ასევე, საინტერესო იყო პროფესორთა მიერ დასმული და აქცენტირებული საკითხები : „ორგანიზებული დანაშაულობის დასჯადობის ზოგადი საწყისები“, (მეცნიერებათა დოქტორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი გურამ ნაჭყებია); „ქონების ჩამორთმევა, როგორც ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის იარაღი“ (სამართლის დოქტორი დავით სულაქველიძე); „ტრეფიკინგის სისხლის სამართლებრივი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“ (სამართლის დოქტორი, პროფესორი ნონა თოდუა) ; „იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასპექტები“ (პროფესორები გურამ ნაჭყებია და დავით სულაქველიძე) ; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“ (პროფესორები გოჩა მამულაშვილი და ნონა თოდუა) ; „ანტირეკეტული კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი“ (პროფესორი გიორგი გორაშვილი).

კონფერენციზე წარმოდგენილ მოხსენებათა აქტუალურობისა და მნიშვნელობის შესახებ თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ისაუბრა. „მივესალმები პროექტის ავტორებსა და რუსთაველის ფონდს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კონფერენციის ორგანიზებაში. მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მეცნიერული და თეორიული კვლევა. ქართულმა სახელმწიფომ სულ მოკლე პერიოდში მოახერხა მძიმე კრიმინალური სიტუაციის შემობრუნება და ნორმალიზაციისკენ სვლა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები მნიშვნელოვანია პრაქტიკული საქმიანობის სწორად წარმართვის მხრივაც და, იმედი მაქვს, რომ დღეს დაწყებული საქმე თავის დადებით შედეგებს გამოიღებს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ეროვნული იდენტობა — გლობალიზაციის მსხვერპლი?

დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, საქართველოში უწყვეტად მოედინება ინფორმაცია მრავალი ქვეყნის ტრადიციებისა და ჩვეულებების შესახებ, რაც ქართული საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე თავისებურ გავლენას ახდენს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია, რომ ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ეროვნული იდენტობა, ტრადიციები, კულტურა შეინარჩუნოს და, ამავე დროს, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სიახლეებს ფეხი აუწყოს. ამ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები გლობალიზაციის თანმდევ სიახლეებს, რაც, ხშირად, ქართულ ტრადიციებთან წინააღმდეგობაში მოდის. ამ პრობლემას მიეძღვნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართული კონფერენცია — „გლობალური ტრანსფორმაციები და საქართველო“, რომელზეც 54-მდე პროფესორ-მასწავლებლის სერიოზულ ნაშრომთა პრეზენტაცია შედგა.

ნატო ოგოლაძე

ფაკულტეტის პროფესორმა ლია წულაძემ ნაშრომში — „რეტრადიციონალიზაცია და გლოკალიზაცია, როგორც ეროვნული ხაზგასმის მექანიზმები, თანამედროვე ქართველ ახალგაზრდებში“ კვლევის საფუძველზე განიხილა, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები გლობალიზაციას და როგორ ინარჩუნებენ, ამავდროულად, ეროვნულ იდენტობასაც. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეტაპობრივად მიმდინარეობს ტრადიციების განახლება და სხვადასხვა ქვეყნის კულტურების ეროვნულ კულტურასთან ადაპტაციაც. ამ პროცესს ყველა ქვეყანა ლოკალურად აღიქვამს. სწორედ ამიტომ, ლია წულაძე თავის ნაშრომში ტერმინ „გლობალიზაციის“ ნაცვლად ტერმინს „გლოკალიზაციას“ იყენებს.

განსაკუთრებით საინტერესოა კვლევაში წარმოდგენილი იმ ახალგაზრდების გამოკითხვის შედეგები, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ჩვეულებებთან და ქართულ ტრადიციებთან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ: **„ის, რაც ჩვენს კულტურაში მომწონს, არის ოჯახთან ემოციური სიახლოვის ტრადიცია. როცა ახალგაზრდა ხარ, უსაფრთხოდ გრძნობ თავს, რადგან იცი, რომ მშობლები არასოდეს მიგატოვებენ ემოციურადაც და მატერიალურადაც. მეორე მხრივ, არც დაბერების გეშინია, რადგან იცი, რომ შვილები არასოდეს დაგტოვებენ ყურადღების და მხარდაჭერის გარეშე და რომ უკანასკნელ დღეებს მოხუცთა თავშესაფარში არ გაატარებ“** (ქეთი, 19 წლის). თუმცა, დაახლოებით, სწორედ იგივე ასაკის ახალგაზრდები გამოთქვამენ სურვილს — მეტი მატერიალური და ემოციური დამოუკიდებლობა მოიპოვონ უფროსებისგან: **„ყველა ჩვენგანი ცდილობს, გახდეს უფრო თანამედროვე, თუმცა მაინც ძველს და ტრადიციულს ვანიჭებთ უპირატესობას... ვგულისხმობ, რომ დამოუკიდებლად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება მომავალი პროფესიის, მომავალი მეუღლის და, საერთოდ, მომავალი ცხოვრების სტილის არჩევისას... თითქოს გვაქვს თავისუფლება, მაგრამ ეს არის სხვებზე დამოკიდებული თავისუფლება — ასეთია ქართული სინამდვილე“** (მარი, 20 წლის). **„უნდათ თავისუფლება, მაგრამ მათ არ ესმით თავისუფლების არსი... ეს ჩვენი მენტალიტეტის ბრალია. ზღვარი დაიკარგა თავისუფლებასა და გარყვნილებას შორის“** (სალომე, 20 წლის).

ლია წულაძე

„ამდენად, ქართველებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, ეროვნულის წარმოჩენა უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, თუმცა, მათი რწმენით, ის არ უნდა იყოს ზედმეტად სანახაობრივი, რათა „ნამდვილობა“ არ დაკარგოს“, — აღნიშნავს დასკვნაში ლია წულაძე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს შორის უნდა აღინიშნოს მომხსენებლები: გიორგი კვინიკაძის თემა — „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და საქართველოს გეო-ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელები“; შალვა აბზიანიძის — „ამოუცნობი რუსული სული“; მალხაზ მაცაბერიძის — „კავკასიის ერთიანობის იდეა თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში (ჩრდილოეთ კავკასია)“; მარინე ჩიტაშვილის — „უმაღლესი განათლების ბრწყინვალება და სიღატაკე – ბოლონიის პროცესის ქართული ვარიაცია“; ნოდარ ბელქანიას — „განათლების რეფორმა: ჰუმბოლდტიდან ბოლონიამდე“; დიმიტრი ნადირაშვილის — „იმპულსური და ნებელობითი ქცევის კვლევა ქართველ მოზარდებსა და ახალგაზრდებში“; გიორგი ჩართოლანის — „უცხოური თოქ-შოუს ქართული ანალოგები, როგორც ფსევდოდემოკრატიული ღირებულებათა დამკვიდრების მცდელობა ქართულ ტელემედიაში“; მარიამ გერსამიას — „ჟურნალისტიკა მეცნიერების შესახებ: გლობალური ტენდენციები“; გია ჟორჟოლიანის — „დემოკრატიის გამოწვევა პოსტსაბჭოთა სივრცეში“; ნანა სუმბაძის — „ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში“; ავთანდილ ტუკვაძის — „პოლიტიკური ელიტების ტიპები და შერჩევის კრიტერიუმები ტრანზიციულ პოლიტიკურ სისტემაში“; გურამ აბესაძის — „თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალური და ირაციონალური კომპონენტები,“; ვალერიან დოლიძის — „ტრანზიცია, დემოკრატიზაცია, ტრანსფორმაცია: რატომ მოკვდა ტრანზისტოლოგია?“; სალომე დუნდუას – „სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია: ქართული რეალობა“; თამარ დოლბაიას — „ქართული პორტების ადგილი შავი ზღვის აუზში“, ნათელა დონაძის — „ქალთა სოციალური ტიპები ტრასფორმაციის პერიოდში“ და სხვ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ნაშრომთა კრებულის სახით გამოცემას მიმდინარე წლის საგაზაფხულო სემესტრში გეგმავს. ასე რომ, დაინტერესებულ მკითხველს უკვე შეეძლება მრავალმხრივი თემატიკისა და საინტერესო შინაარსის კვლევების გაცნობა.

„გლობალური ცვლილებები, რაც თანამედროვე სამყაროში მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, ჩვენც გვეხება. ამდენად არის მნიშვნელოვანი, თუ როგორ შეძლებს ქართული საზოგადოება იმ პრობლემებში გარკვევას, რასაც ეს პროცესი იწვევს. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ჰყავს მაღალკვალიფიციური პროფესურა, რომელიც ამ თემატიკაზე მუშაობს. კონფერენციაზე ბევრი დადებითი აზრი გამოითქვა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის, რათა ამ დიდ, გლობალურ ცვლილებებში არ დავიკარგოთ“, — გვითხრა სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა.

ფაკულტეტზე ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის გამართვა უკვე ტრადიციად იქცა. გაჩნდა ინიციატივა, რომ მსგავსი სახის კონფერენცია მომავალში წელიწადში ორჯერ გაიმართოს და მოხსენებების კრებულის სახით გამოცემა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს.

„ამ კონფერენციაში ფაკულტეტის ყველა მიმართულების პროფესორი იღებდა მონაწილეობას. წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი თემატიკა, რაც იძლევა აზრთა გაცვლის, ერთმანეთის უკეთ გაცნობის, მეცნიერული დისკუსიისა და ინტერდისციპლინარული განხილვების მოწყობის საშუალებას. სწორედ ამ ასპექტით არის მნიშვნელოვანი მსგავსი ღონისძიებების მოწყობა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა შორის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი მეტად იზრდება,“ — განაცხადა ფაკულტეტის დეკანმა ნოდარ ბელქანიამ.

გლობალიზაციის თანმდევი მოვლენები ხშირად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ეროვნულ იდენტობაზე. სწორედ ამიტომ გახლავთ კონფერენციაზე წარმოდგენილ საკითხთა კვლევა და ნაშრომების გამოქვეყნება მნიშვნელოვანი ინიციატივა როგორც მეცნიერებისათვის, ასევე, საზოგადოებისთვისაც. ისიც უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის თანმდევი პროცესების მსხვერპლი ვერასდროს გახდება ეროვნული იდენტობა, თუ ერს ღირებულებათა დაცვის შესაბამისი მზაობა აქვს.

„Business Case“

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობა აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ-სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში, რაც სასწავლო პროცესის სრულყოფას, სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების მიღებასა და ბიზნეს სექტორთან სტუდენტების კოორდინაციას ემსახურება. სწორედ ამ მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პროექტი „Business Case“ გაიმართა. ამ პროექტის ფარგლებში თსუ-ის სტუდენტებს, როგორც ბიზნეს სექტორის მომავალ წარმომადგენლებს, საშუალება მიეცათ წარმოედგინათ მათთვის პრიორიტეტული ბიზნეს სფერო, ჩამოეყალიბებინათ კონკრეტული პროდუქტისა და მომსახურების ბიზნეს გეგმა, ასევე, მარკეტინგული სტრატეგია. აღსანიშნავია, რომ სწორედ „ბიზნეს ქეისის“ ფარგლებში, ფაკულტეტზე პირველად შედგა სტუდენტური კონფერენცია ინგლისურ ენაზე, რამაც, გარკვეული თვალსაზრისით, ნათელი გახადა ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის სფეროებისთვის. პროექტი ემსახურებოდა თსუ-ის სტუდენტთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების ხელშეწყობას, ასევე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და თანამშრომლობის ამაღლებას. სწორედ ამ მიზნით, გამარჯვებული გუნდებისთვის პრიზად დაწესდა სტაჟირების გავლა ქალაქ თბილისის მერიის მარკეტინგის განყოფილებაში, ასევე, ეკონომიკური რადიო „კომერსანტის“ საინფორმაციო განყოფილებაში, კომპანია „ნატახტარისა“ და „ბარამბოს“ მარკეტინგულ განყოფილებებში.

პროექტის ინოვაციურობისა და მნიშვნელოვნების გამო, პროექტის მიმართ დიდი ინტერესი გამოხატეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არა მხოლოდ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა, არამედ პირველკურსელებმაც. ფინალურ ეტაპზე ჟიურის წინაშე პრეზენტაციით წარსდგა ხუთ-ხუთი სტუდენტისგან დაკომპლექტებული 7 გუნდი. სტუდენტებმა მოხსენებები ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს, პრეზენტაციის შემდგომი დისკუსიაც ინგლისურ ენაზე წარიმართა. სტუდენტებს აფასებდა ფაკულტეტის პროფესორებისა და მოწვეული სტუმრებისაგან შემდგარი ჟიური.

კონფერენციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი დაესწრო. მისი თქმით, სტუდენტთა დასაქმების ხელშესაწყობად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ნამდვილად პრიორიტეტულია მსგავსი სახის ღონისძიებების ორგანიზება, ურთიერთთანამშრომლობა როგორც სახელმწიფო, ასევე, ბიზნეს სექტორთან. ბატონმა სანდრომ სტუდენტური პროექტების აქტიური მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მერიას, ასევე, მერიის მარკეტინგის სამსახურის უფროსს ენრი დოლიძეს. მან აღნიშნა, რომ მომავალი ეკონომისტები საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობენ უცხო ენებს, რაც მათ კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების დიდ შესაძლებლობებს აძლევს.

სტუდენტებს მიმართა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ხარაბაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა ფაკულტეტისთვის პროექტის წარმატებით განხორციელების მნიშვნელობა და კონფერენციის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა სტუდენტურ თვითმმართველობასა და პროექტის ხელმძღვანელს – თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს თინათინ ახვლედიანს.

„ჩვენი ფაკულტეტისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა ის ღონისძიება, რაც სტუდენტთა ცოდნის რეალიზებას, მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას და, რაც მთავარია, სტუდენტთა დასაქმებას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ ფაკულტეტი აქტიურად მუშაობს. უახლოეს მომავალში რამდენიმე მნიშვნელოვანი მემორანდუმის გაფორმებას ვგეგმავთ როგორც სახელმწიფო, ასევე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელ კომპანიებთან“, — განაცხადა ელენე ხარაბაძემ.

გამარჯვებული გუნდების გამოვლენა არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან სტუდენტებმა პროექტით გათვალისწინებულ დავალებას საკმაოდ კარგად გაართვეს თავი და მაღალ დონეზე წარმოადგინეს ბიზნეს გეგმებისა და მარკეტინგული სტრატეგიის პრეზენტაციები. ჟიურის გადაწყვეტილებით, III ადგილი დაიმსახურა პირველი კურსის სტუდენტებისგან დაკომპლექტებულმა გუნდმა „Y A P“, რომლის წევრებსაც ქალაქ თბილისის მერიისგან საჩუქრად გადაეცათ წიგნები და მაისურები თბილისის ახალი სლოგანის გამოსახულებით. II ადგილი მოიპოვა გუნდმა „SWEETEAM“, რომლის წევრები სტაჟირებას გაივლიან თბილისის მერიის მარკეტინგის განყოფილებასა და რადიო კომერსანტის საინფორმაციო განყოფილებაში. I ადგილი კი მოიპოვა გუნდმა „ZINESS STORMING“, რომლის წევრებიც, III კურსის სტუდენტები: ნათია ფურცხვანიძე, თეიმურაზ ბაბუციძე, მარიამ პანკელაშვილი, თამარ შოშიტაშვილი და გიორგი ტყეშელიაძე სტაჟირებას კომპანია „ბარამბოსა“ და „ნატახტარის“ მარკეტინგულ განყოფილებებში გაივლიან.

სტუდენტური პროექტი „Business Case“ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ინიცირებულ მრავალ ღონისძიებას შორის იმით გამოირჩეოდა, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ საკუთარი სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციის მსურველი სტუდენტები. სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი მსგავსი სახის საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას გაზაფხულის სემესტრშიც აქტიურად გააგრძელებს. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის პრიორიტეტია თსუ-ის სტუდენტთათვის ცოდნის ამაღლებისა და რეალიზების ყოველგვარი შესაძლებლობის შექმნა და იმ საკმაოდ კვალიფიციური სტუდენტური რესურსის გამოყენება, რაც თსუ-ს რეალურად გააჩნია. პროექტის აკადემიურმა დონემ დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც იმაში გამოიხატა, რომ თბილისის მერიის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ენრი დოლიძემ თსუ-ის სტუდენტებს საერთაშორისო ახალგაზრდულ ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში შედგება, ხოლო „Georgian Business Consulting“-ის კომერციული განყოფილების უფროსი ირაკლი ლექვინაძე თსუ-ის სტუდენტების ჩართვას გეგმავს კომპანიისა და საერთაშორისო ფონდების სტაჟირების პროგრამებში. აღნიშნული ღონისძიება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს: ფაკულტეტის 15 სტუდენტი იანვრიდან სტაჟირებას როგორც სამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე, კერძო სექტორის კომპანიებში გაივლის.

თინათინ ახვლედიანი
თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტის პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გაიმართა სამეცნიერო საგრანტო პროექტის — „ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში“ შედეგების პრეზენტაცია. პროექტი განხორციელდა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის მიერ შესრულდა. 2010 წელს რუსთაველის ფონდში წარდგენილი 30-მდე ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა პროექტიდან გაიმარჯვა და დაფინანსდა მხოლოდ ეს ერთადერთი კვლევითი პროექტი.

საგრანტო პროექტის კვლევის შედეგებზე საქართველოში პირველად მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო ნაშრომი თემაზე: „ეკონომიკური განუსაზღვრელობა და რისკები ბიზნესმენთა საქმიანობაში“. ნაშრომი შეასრულა ავტორთა ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი ბიკენტი გაბიძაშვილი ხელმძღვანელობდა და რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: პროფესორები: სიმონ გელაშვილი, დავით კბილაძე და ნინო აბესაძე. სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაში მონაწილეობდნენ მამუკა აბესაძე, ქეთი ჩიტალაძე და სოფიო მჭედლიშვილი.

ნაშრომში გაშუქებულია ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკურ-სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში. ასეთი მეთოდოლოგიური აპარატის ცოდნა და სწორად გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სისტემაში, რომლისთვისაც უცხო არ არის მოულოდნელი კრიზისული სიტუაციები. ამიტომ ნაშრომში თეორიული მასალა განმტკიცებულია პრაქტიკული ამოცანების ამოხსნითა და სათანადო რეკომენდაციებით. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომისტებს, ბიზნესმენებს, მენეჯერებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს. ასევე უნივერსიტეტების სტუდენტებს, დოქტორანტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი

გადაცემა „ბიზნეს-მარათონში“ გამარჯვებული თსუ-ის გუნდი

თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები თინათინ ახვლედიანი, ლაშა ნიკოლაიშვილი, ზურა ცერცვაძე და ხატია წაქაძე სატელევიზიო პროექტის „ბიზნეს მარათონის“ მონაწილენი არიან. ეს გადაცემა საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ ეთერში ყოველ ხუთშაბათს გადის. „ბიზნეს მარათონში“ წარმატებით მონაწილეობისთვის თსუ-ს გუნდმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიპლომი მოუპოვა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ხარაბაძემ და III კურსის სტუდენტმა თინათინ ახვლედიანმა, თსუ-ს გუნდის სახელით, დიპლომი თსუ-ის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს გადასცეს.

ყოველი გადაცემის პირველ ბლოკში ეკონომიკის ექსპერტისა და „საქართველოს ბიზნეს კონსალტინგის“ წარმომადგენლის ირაკლი ლექვინაძისგან სტუდენტები ისმენენ მიმდინარე სიახლეებს საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესში, რის საფუძველზეც სტუდენტები ექსპერტს შეკითხვებს უსვამენ. გადაცემის მეორე ბლოკში სტუდენტებს ევალებათ ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნების პრეზენტაცია. ისინი წარმოადგენენ თავიანთ ხედვას, თუ რა კუთხით შეიძლება ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რასაც საქართველოში განახორციელებდნენ. გადაცემის მესამე ბლოკი ეთმობა სტუდენტების შეფასებით წარმატებულ ადამიანთა შესახებ უცნობი დეტალების წარმოჩენას. ბოლო ბლოკი კი ეთმობა ქართული პროდუქციის საექსპორტო გეგმების გაცნობას.

„ძალიან პროდუქტიული იყო ჩვენი მუშაობა „ბიზნეს მარათონში“, რომელიც ტელემაყურებლისათვის უკვე ერთ-ერთ საყვარელ გადაცემად იქცა. ამ სატელევიზიო პროექტში ჩვენი წარმატება სწორედ იმის ნათელი მაგალითია, რომ თსუ საკმაოდ მაღალკვალიფიციურ სტუდენტურ რესურსს ფლობს“, — აღნიშნა თინათინ ახვლედიანმა.

თსუ-ს გუნდის გამორჩეულ მონაცემებზე გადაცემის თანაავტორი ირაკლი ლექვინაძეც საუბრობს: „ფინალური თამაშების სერია ძალიან საინტერესო აღმოჩნდა — გუნდის თითოეულმა წევრმა კარგად შეძლო საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. სტუდენტები საკმაოდ კვალიფიციურ შეკითხვებს სვამდნენ, კომპეტენტურად წარმოადგენდნენ სხვადასხვა წარმატებულ ქვეყნებსა და ბიზნესმენებს, კრეატიული გზებით ცდილობდნენ ქართული საექსპორტო პროდუქციის წარმოჩენას. ვთვლი, რომ ასეთი ტიპის გადაცემებში მონაწილეობა საკმაოდ დიდი გამოცდილებაა, რაც გუნდის წევრებს, შემდგომში, წარმატებული კარიერის შექმნაშიც წაადგებათ”.

„თსუ-ის გუნდი ერთ-ერთი გამორჩეულად ძლიერი გუნდი იყო მთელი გადაცემების განმავლობაში, რაც სწორი მენეჯმენტისა და ძლიერი მონაწილეების დამსახურებაა. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ საკითხს ისინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და დაწვრილებით სწავლობდნენ, ამიტომაც იყო მაუყრებლისთვის მათი თამაში მუდამ საინტერესო”, — აღნიშნა გადაცემის პროდიუსერმა თამარ ტყეშელაშვილმა.

წლის მოაზროვნე უნივერსიტეტის წიაღში

მერვე გვერდიდან

— რამდენად პერსპექტიულ სფეროდ მიგაჩნიათ, დღეს, თქვენი პროფესია და რამდენად არიან დაინტერესებული ახალგაზრდები ამ მიმართულებით?

— მართალია, დღეს ისტორიკოსობა არ არის ისეთი მომხიბვლელი პროფესია ახალგაზრდა თაობისათვის, როგორც ეს იყო საბჭოთა პერიოდში, მაგრამ უკანასკნელ ხანს მდგომარეობა მაინც ბევრად უკეთესია, ვიდრე ეს იყო XX საუკუნის 90-იან წლებში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად, დაახლოებით, 70 სტუდენტი ირჩევს ისტორიას თავის ძირითად სპეციალობად (გარკვეული გამონაკლისი იქნება ალბათ 2010 წელს ჩარიცხულთა ნაკადი, ვინაიდან მისაღები კონტინგენტი შეზღუდული იყო). მკვეთრად გაიზარდა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვიც. თუ 2006 წელს ისტორიის მიმართულებით მაგისტრატურაზე (საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის განხრით) სულ 15-მდე სტუდენტმა ჩაბარა, დღეისათვის ისტორიულ სპეციალობებზე 70-ზე მეტი სტუდენტი ირიცხება. განსაკუთრებით თვალშისაცემია ზრდა ამ მხრივ ჩემს მიმართულებაზე. თუ 2006 წელს მსოფლიო ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ახალი და უახლესი ისტორიის მოდულზე 5 სტუდენტი ჩაირიცხა, დღეისათვის ახალი და უახლესი ისტორიის პროგრამაზე 35 სტუდენტი სწავლობს.

— რა წყაროებს ეყრდნობით მეცნიერული კვლევების წარმოებისას და ნაშრომებზე მუშაობისას? ამისთვის უცხო ენების ცოდნა ხომ აუცილებელია...

— დღეისათვის უცხო ენების ფლობა, პრაქტიკულად, ყველა ადამიანისთვის აუცილებელი გახდა. მით უმეტეს მნიშვნელოვანია ეს ისტორიკოსისთვის, რომელიც მსოფლიო ისტორიის მიმართულებით მუშაობს. თავისუფლად ვფლობ ინგლისურ და რუსულ ენებს, გარდა ამისა, ვკითხულობ ფრანგულად, შემიძლია წყაროების გაცნობა გერმანულადაც. ყოველივე ეს ძალიან მეხმარება სამეცნიერო საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ ერთდროულად ევროპული ენების და რუსულის ცოდნა სერიოზული პლუსია მეორე მსოფლიო ომის თემაზე მომუშავე ისტორიკოსისათვის, ვინაიდან დასავლეთში, პრაქტიკულად, არ იცნობენ რუსულ გამოკვლევებს, ხოლო რუსეთში ისტორიკოსთა დიდი ნაწილი საკმაოდ ტენდენციურია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „დიდი სამეულის“ კონფერენციების კვლევისას ამერიკელი ისტორიკოსები არასდროს იყენებენ საბჭოთა ჩანაწერებს, რუსები კი — ამერიკულ დოკუმენტებს. არადა, ისინი ერთმანეთს ავსებს და კომპლექსური სურათის მისაღებად ორივე მათგანის გაცნობა საჭიროა. მართალია, საბჭოთა ჩანაწერი სერიოზულად არის დაჩეხილი და მასში ცენზურის ხელი აშკარად იგრძნობა, მაგრამ მაინც გვხვდება ადგილები, სადაც ის უფრო ზუსტია, ვიდრე ამერიკული კრებული. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი დიპლომატიური ურთიერთობების კვლევისას ისტორიკოსმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს როგორც ამერიკული, ისე რუსული ჩანაწერები.

— მსოფლიო ისტორიაში ყველაზე კარგ დიპლომატად ვინ მიგაჩნიათ და რას ეფუძნება თქვენი სიმპათია?

— მსოფლიო ისტორიაში ძნელია მხოლოდ ერთი კონკრეტული დიპლომატის გამოყოფა. პრინციპში, ჩემთვის ყველაზე გამორჩეულ დიპლომატებს კარდინალი რიშელიე და ოტო

ფონ ბისმარკი წარმოადგენენ. მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვასახელებ ამ ორ პიროვნებას, არის ის, რომ მათ პოლიტიკაში უმთავრესი იყო სახელმწიფო ინტერესი და, განსხვავებით იმავე ტალეირანისგან, პირადი ინტერესებით არ ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ ხელშეკრულების გაფორმებისას. კარდინალმა რიშელიემ უაღრესად დასუსტებული საფრანგეთი თავისი ოსტატური დიპლომატიით ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, ბისმარკმა კი გერმანია გააერთიანა.

ამბიციური აუტსაიდერები

— როდის და რატომ გადაწყვიტეთ ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის მიღება? რამდენად მნიშვნელოვანია ამ კუთხით თქვენი მოღვაწეობა?

— ინტელექტუალური თამაშები ბავშვობიდანვე მიტაცებდა. ყოველთვის ვუყურებდი „რა? სად? როდის?“ სატელევიზიო თამაშებს საკავშირო ტელევიზიით და თითქმის ყოველთვის ამოვიცნობდი ხოლმე ერთ კითხვას მაინც. აქტიურად კი ამ თამაშში ჩავერთე 1997 წლიდან, როდესაც საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემაში „ინტელექტ-კლუბი“ მონაწილეობა მიიღო სოხუმის გუნდმა. სამწუხაროდ, სოხუმელები დამარცხდნენ, მე კიდევ დავინტერესდი, თუ როგორ მოვხვედრილიყავი სოხუმის გუნდში. გაირკვა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში კვირაში ერთხელ იმართებოდა თამაშები, რომელშიც მონაწილეობას, ძირითადად, აფხაზეთიდან დევნილები იღებდნენ (გარდა ამისა, აქვე იმართებოდა თბილისის ჩემპიონატი, ოღონდ სხვა დღეებში). ამ თამაშებს ატარებდა ლევან გერაძე. მეც მივედი სათამაშოდ. პირველი თამაში არცთუ წარმატებული გამოვიდა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ სახელდახელოდ შეკრებილი გუნდით ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ და, როგორც გაირკვა, გავუსწარით სატელევიზიო ფორმატში მოთამაშე გუნდსაც. სოხუმის გუნდის კაპიტანი დავით რაფავა უმალ დაინტერესდა, თუ „ვისი წყალობით“ მოახერხა ვიღაცამ მათი გასწრება და ასე აღმოვჩნდი სოხუმის „პენტიუმში“, რომლის დებიუტიც 1997 წელს თბილისის სუპერლიგაში შედგა. თავდაპირველად ჩვენ საკუთარ თავს ვეძახდით „ამბიციურ აუტსაიდერებს“ და ვამართლებდით კიდეც ამ მეტსახელს, ვინაიდან სულ სუპერლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის ვიბრძოდით. მაგრამ 1998 წლიდან საქართველოს ჩემპიონატიდან მოყოლებული, რომელშიც ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ, „პენტიუმი“ უკვე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. დღეისთვის, სოხუმის „პენტიუმი“ თამაშში „რა? სად? როდის?“ ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართული გუნდია, რომელმაც ორჯერ (2006-2010 წლებში) მოიგო საქართველოს ჩემპიონატი, სამჯერ იყო II პრიზიორი, სამჯერ III ადგილი მოიპოვა. ჩვენ მოვიგეთ სამხრეთ კავკასიის ჩემპიონატიც (2002 წ.). სატელევიზიო ფორმატში კი დავით რაფავას ექვსეული, რომელშიც „პენტიუმის“ სამი წევრი ვირიცხებით (დავით რაფავა, ია მეტრეველი და მე) ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. ამასთან, უკვე სამივე ჩვენგანს გააჩნია სატელევიზიო ფორმატის მთავარი პრიზი: „ბროლის ბუ“.

— რა შეგრძნებაა, როდესაც „ბროლის ბუს“ მფლობელი ხდები. რა თვისებები უნდა ახასიათებდეს კარგ მოთამაშეს?

— ძნელია იმ გრძნობების გადმოცემა, რომელიც მოაზროვნეს ეუფლება, როდესაც ის სახელდება სეზონის საუკეთესო მოთამაშედ და მას გადაეცემა „ბროლის ბუ“. ეს არის მთავარი ჯილდო, რომლის მოსაპოვებლადაც ყველა მოაზროვნე სათამაშო მაგიდასთან ჯდება. ჩემთვის ეს იყო 13 წლის ოცნების ახდენა. საერთოდ კი, კარგ მოთამაშეს, გარდა ცოდნისა და ნაკითხობისა, ლოგიკური აზროვნება და ინტუიცია სჭირდება. ყოველივე ეს კი მან უნდა გამოავლინოს ერთი წუთის განმავლობაში, ანუ ძალიან მოკლე დროში. პირდაპირ ვიტყვი, ეს არ არის იოლი. ვიცნობ ხალხს, ვინც ძალიან ნაკითხია, უამრავი რამ იცის, მაგრამ სათამაშო მაგიდასთან ვერ ჯდება, რადგანაც ეს მისი სტიქია არ არის.

— როგორ შეხვდნენ თქვენი ოჯახის წევრები თქვენს წარმატებას?

— ჩემი მშობლები ჩემს გატაცებას ინტელექტუალური თამაშებით დიდი ხნის განმავლობაში არასერიოზულად უყურებდნენ და მხოლოდ ბოლოდროინდელმა სატელევიზიო წარმატებებმა შეცვალა მათი დამოკიდებულება.

რაც შეეხება ჩემს მეუღლეს — ლელა უბილავას, იგი თავიდანვე იყო ჩემი გულშემატკივარი. თაფლობის თვის მეორე ნაწილი, რომელიც ქობულეთში გავატარეთ, დაემთხვა სამხრეთ კავკასიის ჩემპიონატს. ეს ჩემპიონატი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა „პენტიუმისთვის“ — ჩვენ ჩემპიონობა მოვიპოვეთ. სატელევიზიო ჩაწერების დროს ლელა ჩემს თილისმას წარმოადგენს. მართალია, მასაც, ისევე როგორც ნებისმიერ მეუღლეს, გარკვეულწილად, დისკომფორტს უქმნის ის, რომ კვირადღე წინასწარ არის დაგეგმილი და, თუ სადმე გვაქვს წასასვლელი, ეს ხდება მხოლოდ 6 საათის მერე, მაგრამ ლელა და ჩემი 7 წლის ქალიშვილი მარიამი უკვე შეეგუენ იმას, რომ ეს ჩემი ცხოვრების წესია.

ჩემპიონი მეხუთედ

ანაკლიაში დასრულდა ქალ მოჭადრაკეთა საქართველოს 68-ე ეროვნული ჩემპიონატი, სადაც შესანიშნავად იასპარეზა საერთაშორისო დიდოსტატმა, დრეზდენის 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა, ჩვენი ქვეყნისა და მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორმა მაია ლომინეიშვილმა, რომელიც საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა. მან 12 პარტიიდან 8,5 ქულა დააგროვა.

აღსანიშნავია, რომ, თუკი ქალ მოჭადრაკეთა შორის აქამდე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები გვყავდა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ნამდვილად არ გვყოლია.

გამარჯვებულს ოქროს მედალი, თასი, ფულადი ჯილდო და ევროპის ჩემპიონატის საგზური გადაეცა. იგი, ასევე, პერსონალურად მიიწვიეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება ნოემრის თვეში, რომელშიც მაია ლომინეიშვილი, როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, მონაწილეობას მიიღებს.

ჭადრაკში ხუთგზის ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, რომელიც თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია, რექტორის ბრძანების საფუძველზე ახლახან დაინიშნა თსუ-ის წარმომადგენლად კულტურისა და სპორტის სფეროში.

„თსუ“ მემორიალის გამარჯვებულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი „თსუ“ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული გახდა.

ფინალურ შეხვედრაზე თსუ-ის გუნდმა (მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი) საკალათბურთო გუნდ „სოხუმს“ მოუგო ანგარიშით 102:86 და ქორქია-საკანდელიძის მემორიალური თასი ღირსეულად ჩაიბარა.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის გათამაშების VI ტურნირი 18 იანვარს დაიწყო, ხოლო ფინალური შეხვედრა 23 იანვარს რუსთავის საკალათბურთო მოედანზე გაიმართა. მასში 8 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. თსუ-ის გუნდს ძლიერი გუნდები დაუპირისპირდნენ: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი — შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი და, ასევე, სამედიცინო და აგრარული უნივერსიტეტების გუნდები. „თსუ“-მ შსს-ს გუნდს ანგარიშით 82:77 მოუგო, სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს — 85:67, ხოლო აგრარული უნივერსიტეტის გუნდს — 100:80.

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. თსუ-ის გუნდმა დაამარცხა შსს-ის გუნდი და ფინალის საგზური მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრებში თსუ-ის გუნდს ძირითადი ხუთეულის 2 მოთამაშე აკლდა — ტრავმირებულები გუნდის კაპიტანი მიხეილ ფანჩულიძე და მოთამაშე გიორგი მარხვაშვილი. მიუხედავად სერიოზული დანაკლისისა, „თსუ“-მ მოახერხა მობილიზება და პირველად, თავის სპორტულ ისტორიაში, მოიპოვა მემორიალური ტიტული, ხოლო გუნდის წევრები საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ. „საუკეთესო ფორვარდის“ პრიზი ილია ლონდარიძეს გადაეცა, ხოლო „საუკეთესო მცველის“ — გიორგი გაფრინდაშვილს.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ᵃ (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი წიქარიშვილი		22 36 62